MES 8 21 0000706098

13/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 29.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;

2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
8. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
10. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
12. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
13. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1. გიორგი ჩილინგარაშვილი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
2. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი;
3. ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინტიტუტის დირექტორი,დეპარტამენტის/სკოლის - "მედიცინის სკოლა" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;
4. ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი;
5. მაია ბიწკინაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის

მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
6. თამარ ვალიშვილი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამკურნალო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძარვანელი,ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
7. ბიძინა კულუმბეგოვი - ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს "კავკასიის საერთაშორის უნივერსიტეტის"მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი;
8. ზაზა ავალიანი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის"მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი,ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
9. მარინე გელანტია - შპს "აკადემიკოს ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
10. ნინო შარიქაძე - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
11. დავით კობეშავიძე - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
12. ლევან რატიანი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,სრული პროფესორი;
13. გივი ჯავაშვილი - საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
14. ივანე ჩხაიძე - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
15. ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
16. შორენა წიკლაური - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასისტენტ პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
17. ნათია სხვიტარიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	სანდრო ტაბატაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ანა ლელაძე	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეიმურაზ ქორიძე	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	I
3.	ილია მესხი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
4.	ნინო მეგრელიშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	სამეცნიერო კვლევებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
5.	ია ეგნეტიევი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი	I
6.	კახაბერ კორძაია	შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	II
7.	მარინა გედევანიშვილი	შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8.	ვახტანგ წივწივაძე	შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის კანცლერი	II
9.	თამარ გიორგობიანი	შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10.	ნინო სიხარულიძე	შპსკავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	II

11.	ლევან ტვილდიანი	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	რექტორი	**III,** IV, V
12.	ნინო თაბაგარი	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	დეკანი	**III,** IV, V
13.	თამარ თალაკვაძე	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III,** IV, V
14.	ნინო გიორგაძე	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი	**III,** IV, V
15.	ანზორ აბშილავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	VI, VII
16.	შალვა კელეპტრიშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დოქტორანტურის პროგრამის "გეოლოგია" ხელმძღვანელი	VI, VII
17.	ნოდარ ფოფორაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი, გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ბაკალავრიატის პროგრამის "გეოლოგია" ხელმძღვანელი	VI, VII
18.	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI, VII

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	რადკა ფილიპჩიკოვა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირმა მანჯავიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	აზიმ მირზაზადე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II,III, IV
6	ლიანა საგინაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	მარიამ თევზაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
8	ნადია ბადრავი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
9	ლეილა ახვლედიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
10	ნანი ყავლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

11	ვახტანგ თებიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
12	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	არჩილ მაღალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
14	კახა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
15	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII
16	თათია უბერი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI, VII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 სთ-ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
5. შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2.12.2011 გადაწყვეტილება № 388
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამკურნალო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. N 25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 28 და 29 აპრილს ჰიბრიდულ, ნახევრად ონლაინ ფორმატში. იგი შედგებოდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვისა და შემდგომ, სდასუ-ს და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყოფი საავადმყოფოებისა და სამედიცინო დაწესებულებების სასწავლო ობიექტების უშუალო მონახულებისაგან. ოთხკაციან ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, თვითშეფასების ჯგუფის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს.
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი ტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. წყაროების მონაცემთა დამუშავების დეტალური აღწერა პროგრამის მიზნების განსაზღვრის პროცესში. წყაროების მონაცემები, ანუ კატეგორიები (გეოლოგიური, მატერიალური, ტექნიკური, სოციალური, კულტურული, გამოხმაურების მოთხოვნები), რომელშიც შესრულდა შეფასება, უნდა ასახავდეს უნივერსიტეტის მიზნებს. იგივე პროცედურა განხორციელდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების ამსახველი კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად.

2. პროგრამის ჩართვა ინტერნაციონალიზაციაში და ვებგვერდის დაგეგმილი რეკონსტრუქცია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაცია და პრეზენტაცია პროგრამის შესახებ იყოს საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებული დაინტერესებულიმხარეებისათვის.
3. ყურადღება გამახვილდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტულ მაჩვენებლისმონიტორინგზე.
4. ხელმისაწვდომი გახდეს ან გამოქვეყნდეს ანალიზის შედეგები.
5. პროგრამაში ცვლილებების შეტანაში ჩართულ იქნეს სტუდენტთა საბჭო.
6. უზრუნველყოფილ იქნეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კრედიტების განაწილება სილაბუსებისა და სემესტრების მიხედვით.
7. გადაიხედოს ინტეგრირებული სილაბუსების სწავლის შედეგები; მოყვანილ იქნეს სწავლის მიზნებთან შესაბამისობაში.
8. სტუდენტთა დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.
9. დაწესებულებამ განიხილოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა სამედიცინო პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის.
10. უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ხელმძღვანელის მჭიდრო თანამშრომლობა სდასუ-ში, ამ პროგრამის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ასახავს თუ რა ცოდნის, უნარის და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილის შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. მიზნები შესაბამისია უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და სტრატეგიული გეგმის, ასევე დარგის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების. დაწესებულება ვერ იმსჯელებს რეკომენდაციის გაზიარების ან არ გაზიარების შესახებ, ვიანიდან რეკომენდაცია არის ბუნდოვანი და საჭიროებს განმარტებას. აქვე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები ყოველი წლის ბოლოს წარადგენენ წლიურ ანგარიშს ჩატარებული სამუშაოს შესახებ. აღნიშნული ანგარიშები კი აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშებში, რომლებსაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხს, დაინტერესებულ პირთათვის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამის მოკლე აღწერილობა - კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ რეკომენდაცია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან უნივერსიტეტი და მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მონიტორინგს, რაც ასევე გათვალისწინებულია პროგრამის თვითშეფასებაში.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში და კერძოდ მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლაში ჩატარებული ნებისმიერი კვლევის ან გამოკითხვის შედეგები და მათი ანალიზი ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის, რომელთა გაცნობაც ხდება სისტემატურად საინფორმაციო შეხვედრების ფორმატში.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის დებულებისა და საბჭოს დებულების თანახმად, სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა

შეადგენს სკოლის აკადემიური პერსონალის მეოთხედს. გარდა ამისა, პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში, სხვა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად ყოველთვის შედიან სტუდენტები. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები და მათი კმაყოფილების კვლევა.
მნიშვნელოვანია ასევე მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულია ინფორმაცია მოდულების და მათი კრედიტების, სემესტრის მიხედვით გადანაწილების, მოდულებში შემავალი საგნების და მათი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია ასევე შესაბამისი მოდულების სილაბუსებში.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს კლინიკური საგნების ადრეულ ეტაპზე სრულფასოვნად შესწავლა საბაზისო საგნებთან მჭიდრო კორელაციასა და შესაბამისობაში. ქირურგია, კლინიკური ონკოლოგია და ინფექციური დაავადებები ისწავლება სრული დატვირთვით, კლინიკურ გარემოში, სადაც ხდება სტუდენტების პაციენტთან კომუნიკაცია, დაავადებების განვითარების, გამოვლენის და მართვის პროტოკოლების გაცნობა. შესაბამისად სტუდენტი შეძლებს ცამეტივე დარგობრივ კომპეტენციაზე გასვლას, თუმცა გაცნობის დონეზე.
მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტთა დატვირთვის შესაბამისობის ნაწილი, კერძოდ მედიცინის პროგრამა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი იქნა 2019 წელს და სრულად შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებაში ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 3 დეკემბერს. შესაბამისად, რეაკრედიტაციაზე წარდგენილ მედიცინის პროგრამასა და თანმხლებ დოკუმენტაციაში ვერ იქნებოდა ასახული აღნიშნული ცვლილება. თუმცა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში აღნიშნული ცვლილება ასახულია.
რაც შეეხება პერსონალის დატვირთვის საკითხს, უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა და დატვირთვა რეგულირდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესის შესაბამისად. მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლაში ყოველ სემესტრში ხდება დატვირთვის სქემის განსაზღვრა. დატვირთვის შესახებ მონაცემები აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის პერსონალის ჩანართში. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მუდმივად ხორციელდება პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი.
საყურადღებოა ასევე ხელმძღვანელის საკითხი, კერძოდ განახლებულ პროგრამის ხელმძღვანელთან, სდასუ-ს ასოცირებულ პროფესორ ილია მესხთან გაფორმებულია ,,გ“ კატეგორიის და პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფილია ხელმძღვანელის მჭიდრო თანამშრომლობა სდასუ-სთან და ჩართულობის მაღალი ხარისხი მედიცინის პროგრამის განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
მოწვეული საბჭოს წევრმა, ზაზა ავალიანმა დააზუსტა კვლევებისა და პუბლიკაციების ნაწილში არსებული რეკომენდაცია და მოუწოდა ექსპერტებს მოსაზრების დაფიქსირებისკენ.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, მოუწოდა ექსპერტებს 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და მათი საფუძვლების განმარტებისკენ.
მოწვეული საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ სილაბუსებში დარგობრივი კომპეტენციების გარდა მოცემულია ზოგადო კომპეტენციები, თუმცა არ არის შესაბამისად დაყოფილი, მხოლოდ უნარები არის ჩაშლილი პუნქტებად. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად სწორად მიაჩნიათ აღნიშნული ექსპერტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა რომ კრედიტები გადანაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტში. ისინი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად და უზრუნველყოფენ დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. თუმცა, სასწავლო გეგმის განხილვის დროს ვერ გაირკვა, თუ როგორ გაკეთდა გაანგარიშება, რადგან დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამი არ უტოლდება თითოეული სილაბუსის საათების საერთო რაოდენობას.

რაც შეეხება დატვირთვის ნაწილს, აღნიშნული გულისხმობდა იმ ნაწილს, რომ საკითხი არ იყო N3 ბრძანების შესაბამისად გათვალისწინებული. ექსპერტმა დაადასტურა, რომ განაცხადი N3 ბრძანებაში ცვლილებების განხორციელებამდე იქნა შემოტანილი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტამდე ინსტიტუციას აქვს 5 დღიანი ვადა გარკვეული ცვლილებების განსახორციელებლად, შესაბამისად სავსებით შესაძლებელი იყო მოცემული ხარვეზის ჩასწორება. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია სტუდენტების დატვირთვის შესახებ და წერია, რომ "სტუდენტების დატვირთვა არის 30 კრედიტი სემესტრში, 60 კრედიტი წელიწადში (სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, მისი წლიური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე მეტი ან ნაკლები, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა); თუმცა N3 ბრძანების ბოლო ცვლილებებით, მხოლოდ 15 დამატებითი კრედიტი არის ხელმისაწვდომი მთელი 6 წლის განმავლობაში. ყოველწლიურად ამის გაკეთება შეუძლებელია.

მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტთა ჩართულობის საკითხიც. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა რომ მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში საკმაოდ მცირეა.

რაც შეეხება პროგრამის ინტეგრაციას, სასწავლო კურსებში სწავლის მიზნები და მისაღწევი უნარები თუ შედეგები ერთმანეთთან შეუსაბამოა. თითოეული კომპონენტის კრედიტები ინტეგრირებული სილაბუსისთვის შეესაბამება კონკრეტული კომპონენტის შინაარსს, მაგრამ ზოგიერთ ინტეგრირებულ სილაბუსში გაუგებარია, თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების მიღწევა. ინტეგრირებულ 14 სილაბუსებში (V სემესტრი) "დაავადების განვითარება და მართვა I, პათოანატომია/პათოფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია, ქირურგია I, ბაქტერიული ინფექციები" ჩამოთვლილი შედეგები წარმოადგენს დარგობრივ დოკუმენტში ჩამოთვლილ სფეროს სპეციფიკურ მახასიათებელს (13 საკითხი). უფრო მეტიც, VI სემესტრში, სილაბუსში "დაავადების განვითარება და მენეჯმენტი II" სწავლის შედეგები იგივეა. არ ჩანს ეტაპობრივი გაუმჯობესება.

პუბლიკაციებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის ყოველწლიურად გამოსცემს ჟურნალს, სადაც ხდება ძირითადი პუბლიკაციების გამოცემა. ინსტიტუცია ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა ინიციატივების დაფინანსებას.

ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ თავად რუკაში დეტალურად არის მოცემული თუ რომელი სასწავლო კურსი რომელ შედეგზე და უნარზე გადის, თუმცა სილაბუსებში აღნიშნული ინფორმაცია არ არის მოცემული.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ კურიკულუმის სტრუქტურა არ არის შედგენილი სწავლების ეტაპების მიხედვით; აღინიშნება აქცენტი ქირურგიულ დისციპლინებზე. სწავლების პირველ წლებში სავალდებულო მოდულებში შეტანილია ისეთი დისციპლინები, როგორებიც არის ლაპარასკოპიული ქირურგია, ინტერვენციული კარდიოლოგიის საკითხები, ენდოკრინული ქირურგია, ნეიროქირურგია, მაშინ როცა აღნიშნული დისციპლონები (ისიც ძირითადად არჩევითი საგნების სახით) ისწავლება კლინიკური სწავლების ეტაპზე (მე-5, მე-6 კურსებზე). გაუგებარია, რა მიზნით არის ინტეგრირებული ქირურგიული და თერაპიული დაავადებები. თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილია მაგალითი მწვავე აპენდიციტის არაქირურგიული (ანტიბიოტიკებით) მკურნალობის შესახებ, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიპლომამდელ ეტაპზე ვასწავლით დაავადებების ძირითად კლინიკურ გამოვლინებას და მათ მკურნალობის ძირითად მეთოდებს, ხოლო ატიპური და შედარებით იშვიათი კლინიკური მიმდინარეობების მკურნალობა ისწავლება დიპლომისშემდგომ ეტაპზე (რეზიდენტურაში).

გაუგებარია, რატომ არის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევაზე (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები) სტუდენტა 70%-თვის გათვალისწინებულია მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, ისევე როგორც სხვა სამიზნე ნიშნულებისთვის). რაც შეეხება კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების კურსს (CBCR – Cas-based Clinical Reasoning), ის განსხვავებულია თავისი ფორმატით და შეფასებით ტრადიციული, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუნებული სწავლებისგან (CBL – case-based learning) და განკუთვნილია სწავლების პრეკლინიკური ეტაპისთვის.
მოწვეული საბჭოს წევრმა, მარინა გელატიამ, დააზუსტა, საკმარისი არის თუ არა კლინიკური უნარების განსავითარებლად არსებული კრედიტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მედიცინის საფუძვლების ფაზა მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებებისა და ადამიანის ორგანიზმის აგებულება-ფუნქციის შესახებ ძირეულ კონცეფციებს. პირველი ორი კურსის განმავლობაში, სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის სხეულის აგებულებას, სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებს და აღნიშნულ სფეროში კვლევის პრინციპებს, პროფესიულ განვითარებას (კომუნიკაციური და პროცედურული უნარები, სამედიცინო ეთიკა), ნეირომეცნიერებებს. აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების სწავლება განხორციელდება სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით (ინტერაქტიული ლექციები, როლური თამაშები, პრაქტიკული მუშაობა, სიმულაციურ ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.). სტუდენტები დაეუფლებიან საკვანძო პრაქტიკულ უნარებს (პაციენტთან ინტერვიუ) კლინიკურ გარემოში. სიმულაციური სწავლების გზით სტუდენტები მიიღებენ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ცოდნას; ასევე კონკრეტული კლინიკური შემთხვევების ვირტუალური დისექციის და მანეკენებზე განხილვის მეშვეობით სტუდენტები შეისწავლიან ანატომიას. ამასთან, მეორე კურსიდან სტუდენტები ჩაერთვებიან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL – problem-based learning) კურსში, რომელსაც გრძივი ხასიათი ექნება. პირველი ფაზის მანძილზე სტუდენტები სრულფასოვნად ჩაერთვებიან და ცოდნის დონის ფარგლებში შეისწავლიან 4 კლინიკური დისციპლინის გარკვეულ პრინციპებს: ტრავმატოლოგია/ორთოპედია, ენდოვასკულური მედიცინა/ ინტერვენციული კარდიოლოგია, მეანობა და ტოპიკური დიაგნოზის დასმა ნევროლოგიაში. მეორე ფაზის განმავლობაში (პრეკლინიკური კურსი) ძირითადი ყურადღება ეთმობა შესავალს კლინიკურ მედიცინაში, (პროპედევტიკა და კლინიკური უნარები), ზოგად პათოლოგიას და ფარმაკოლოგიას. აღნიშნული ფაზა ძირითადად ორიენტირებულია იმ დაავადებათა ყველაზე ხშირ სიმპტომებსა და ნიშნებზე, რომლებიც ყველაზე ნათლად ასახავს აღნიშნული დისციპლინების ძირითად კონცეფციებს. ამასთან, სტუდენტები სრულყოფენ ფიზიკური გასინჯვის უნარებს. III კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკურ აზროვნებას სხვადასხვა სამედიცინო მიმართულების შემთხვევების განხილვის გზით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული ცოდნის ინტეგრირებას და ამზადებს სტუდენტებს კლინიკური საგნების სრულფასოვნად აღქმისაკენ, რომელთა ინიცირებაც პროგრამაში შემდეგი წლიდან ხდება. ამავე დროს, სტუდენტი სრულფასოვნად სწავლობს ქირურგიის პრინციპებს, ბაქტერიულ ინფექციებს და ონკოლოგიას. საბაზისო კლინიკური ცოდნა და აზროვნება მნიშვნელოვნად გაუადვილებს სტუდენტს მომდევნო კურსებზე დაავადებათა გააზრებას. პროფესიული განვითარების გრძივი მოდულის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან კლინიკური პრობლემის გადაჭრის პროცესში, რაც თავის მხრივ ხორციელდება სხვადასხვა 16 კლინიკური სცენარების მეთოდით ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტებს შორის როგორც სიღრმისეულ ანალიზსა და ინფორმაციის სინთეზზე, ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე კლინიკურ კონტექსტში.

რაც შეეხება ინტეგრაციის საკითხს, მედიცინის პროგრამის კურიკულუმი ნაწილობრივ ინტეგრირებულ, სისტემაზე დაფუძნებულ ხასიათს ატარებს, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ინტეგრაცია დისციპლინებს შორის. შინაარსობრივ ინტეგრაციაში ისწავლება საოჯახო მედიცინა, გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინა, ენდოკრინოლოგია და სხვა. სტუდენტი ეუფლება ყველა ძირითად დისციპლინას რათა მომავალში მიიღოს მისთვის ყველაზე ოპტიმური გადაწყვეტილება სპეციალიზაციის არჩევის კუთხით. სპირალური კურიკულუმის მოთხოვნებისა და ინტეგრაციის პრინციპების თანახმად, დამამთავრებელი კურსების მოდულების ფარგლებში ხდება საბაზისო საგნების ძირეული სწავლების გაგრძელება.
ნეოროქირურგიასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხშირ შემთხვევაში არის არჩევითი საგანი, თუმცა პროგრამის მიხედვით აღნიშნული გათვალისწინებულ იქნა ბოლო კურსზე, ვინაიდან ნეიროქირურგია მოიცავს ქირურგიისგან განსხვავებულ მიდგომებს.
აღსანიშნავია, რომ მედიცინის პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და 20 ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ახსნა–განმარტებას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), კლინიკურ გარემოში სწავლას, კლინიკურ და სიმულაციურ გარემოში სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებულ სწავლებას (CBL), კლინიკურ აზროვნებას (CBCR), როლურ თამაშს, ჯგუფურ მუშაობას, კლინიკური როტაციები საუნივერსიტეტო/სასწავლო დაწესებულებებში: ავადმყოფის საწოლთან სწავლებას, პაციენტებთან კომუნიკაციას, პაციენტებთან (ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ პაციენტებთან) პრაქტიკას, პრაქტიკული დავალებას ზედამხედველობის ქვეშ და სხვ.
რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუცილებლად მოხდება საკითხის განხილვა და აუცილებელი ცვლილებების გატარება.
მოწვეული საბჭოს წევრმა, მარინე გელანტიამ დააზუსტა თუ როგორ ხდება აკადემიური პერსონალის აქტივობების შეფასება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას აქვს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები, გარდა ამისა, საკითხი რეგულირდება კანონმდებლობითა და დარგობრივი მახასიათებლით. ყოველი წლის ბოლო აკადემიური პერსონალის მხრიდან ხდება ანგარიშის ჩაბარება წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საბჭოზე წარდგენილია მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის ბიუჯეტი, თუმცა არ არის მოცემული უშუალოდ პროგრამის ბიუჯეტი, რაც მე-4 სტანდარტის პირდაპირი მოთხოვნაა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეულ სკოლას აქვს თავისი ბიუჯეტი. გამომდინარე იქიდან, რომ ინსტიტუცია არის კერძო დაწესებულება, ბიუჯეტი დგება წინა და მომავალი წლების გათვლებით. თუმცა მუდმივად არსებობს ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხის გამოთხოვის შესაძლებლობა.

15:25 საბჭოს სხდომას შეუერთდა გიორგი ღაღანიძე

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 16:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და გაწერილი რეკომენდაციები, კერძოდ ამოღებულ იქნა 1.1 ქვეკომპონენტში გაცემული პირველი რეკომენდაცია, მეორეს შეეცვალა ფორმულირება, 1.2 ქვეკომპონენტში განისაზღვრა სამი რეკომენდაცია, შედეგად 1.2 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა არ შეიცვალა მთლიანად პირველი სტანდარტის შეფასება და ის შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". მეორე სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შედეგად 2.2 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 2.3 ქვეკომპონენტი დასკვნის მიხედვით შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" , ასევე დაემატა რეკომენდაცია 2.5 ქვეკომპონენტში და ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
მეხუთე სტანდარტის 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა 2 რეკომენდაცია, შედეგად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.3 ქვეკომპონენტში დაემატა 3 რეკომენდაცია, შედეგად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", საბოლოოდ მთლიანად მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და ინფორმაციის მიწოდების/ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
2. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
3. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი გაზომვადობა, მიღწევადობა და რეალისტურობა;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის სამიზნე ნიშნულები და მოხდეს მათი დიფერენცირება;
5. რეკომენდირებულია, პროგრამის ინტეგრაციის პრინციპების გადახედვა და კორექტირება, პროგრამის თანმიმდევრული განვითარებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით;
6. უზრუნველყოფილ იქნეს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კრედიტების განაწილება სილაბუსებისა და სემესტრების მიხედვით;
7. გადაიხედოს ინტეგრირებული სილაბუსების სწავლის შედეგები, კომპონენტები და მოყვანილ იქნეს სწავლის მიზნებთან შესაბამისობაში;
8. სტუდენტთა დატვირთვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას;
9. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს CBCR მეთოდოლოგია, მისი გამოყენების ეტაპი;

10. დაწესებულებამ განიხილოს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა სამედიცინო პროგრამის მდგრადი განვითარებისთვის;
11. ამოქმედდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით;

12. რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი უფლება-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება;
13. გაძლიერდეს მონიტორინგი, პროგრამის ინტეგრირებული მოდულების სწავლის შედეგების შეფასებასთან მიმართებაში;
14. რეკომენდირებულია, ამოქმედეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და მიღებული შედეგების რეაგირების თაობაზე;
15. რეკომენდირებულია, გაძლიერდეს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების (მათ შორის სტუდენტები) ჩართულობა.

რჩევები:

- ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს პროგრამის მიზნებისა, ამოცანების და მათი განახლების წარმოდგენას ვებგვერდზე, საჭიროებისამებრ პროგრამისა და სტუდენტთა შეფასებებზე დაყრდნობით;
- სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევებში; ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მათი შედეგები წარმოდგენილ იყოს სკოლის ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე და ამით ხელი შეეწყოს სკოლის პრესტიჟსა და მის ინტერნაციონალიზაციას;
- წარმოდგენილ იქნეს პროგრამის ბიუჯეტი;
- დიდი პროგრესისა და აქტიური ენთუზიაზმიდან გამომდინარე, პროგრამისა და ხარისხის შედეგების შედარება შესაძლებელია საერთაშორისო მასშტაბით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 29
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 32 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-32 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

16:55- საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ჭალაგანიძე.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	20.11.2012 გადაწყვეტილება №687
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	364
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა # 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1 0141 , საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნინო ჭალაგანიძემ და ბიძინა კულუმბეგოვმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პერსონალის მიერ ადგილზე ჩატარებული ვიზიტი პირველ დღეს (2021 წლის 28 აპრილი) მოიცავდა პირისპირ შეხვედრებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში, მათ შორის კლასებში, პრაქტიკულ ლაბორატორიებში, კლინიკური უნარების ცენტრსა და ბიბლიოთეკაში, ასევე სამ კლინიკაში, რომლებშიც ხდება კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების როტაცია. ადგილზე ვიზიტებში უცხოელმა ექსპერტებმა მონაწილეობა მიიღესZoom ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რაც, როგორც წესი, შესანიშნავი ხარისხისაა და იძლეოდა კსუ-ს პერსონალთან, კლინიკების წარმომადგენლებთან ურთიერთობისა და პირობების უშუალოდ დათვალიერების საკმარის შესაძლებლობას. ვიზიტის მეორე დღეს ჩატარდა 13 შეხვედრა უნივერსიტეტისა და მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კანცლერთან და რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სხვადასხვა დონის სტუდენტთან, კურსდამთავრებულთან, დამხმარე სამსახურებთან და ასევე, დამსაქმებლებთან.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და გააცნობიეროთ ECTS– ი განაწილების სპეციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც.
2. გადაიხედოს კურიკულუმი და სავალდებულო კურსებში შეტანილ იქნეს ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია.
3. ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული.
4. სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და

გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით.

5. საფუძვლიანად გადაიხედოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების მიღწევა.
6. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს საფუძვლიანი რევიზია კლინიკურ როტაციებში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდებისა, როგორებიცაა პორტფოლიო და Mini-CEX-ის მსგავსი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება.
7. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა მეტი გამჭვირვალობისთვის მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არჩევა ხდება განსხვავებული წესით.
8. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლინიკებთან მემორანდუმებში უნდა მიეთითოს კლინიკური კურსების სახელწოდება და სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას კლინიკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში დღეს მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოაზრებული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა დათვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებით, თუ რეალურად რა დრო ჭირდება საშუალო მოსწრების სტუდენტს კონკრეტული კომპონენტის ასათვისებლად. სწორედ ამ პრინციპის გათვალისწინებით დაანგარიშებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო დროის ჯამი გაყოფილი 25 საათზე კრედიტის იმ რაოდენობის ტოლია, რომელიც ენიჭება კონკრეტულ სასწავლო კურსს.

გამონაკლისი არც მედიცინის პროგრამაა. პროგრამა 364 კრედიტიანია, რითაც უნივერსიტეტს არც „უმაღლესი განათლების შესახებ კანონი“ და არც მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები არ დაურღვევია. ისე, რომ ეს უნივერსიტეტმა კი არ გადაწყვიტა ასე, როგორც ექსპერტები წერენ, არამედ პროგრამის სპეციფიკამ მოიტანა და უნივერსიტეტის მიდგომამ, ხელოვნურად არ შეიზღუდოს იმ პროფესორთა აკადემიური თავისუფლება, რომლებმაც არგუმენტირებულად დაასაბუთეს, რატომ უნდა იყოს მათი სასწავლო კურსი იმაზე მეტი მოცულობის, ვიდრე 360 კრედიტის ფარგლებში შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ექსპერტთა დასკვნაში, საგანმანათლებლო პროგრამა გადის მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ სწავლის შედეგებზე და პროგრამის ჭარბ მოცულობას ამისთვის ხელი არ შეუშლია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 12-დან 4 სემესტრის განმავლობაში სტუდენტის დატვირთვა არა 60, არამედ 61 კრედიტი იქნება, ამართლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის №3 ბრძანების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები“. რაც შეეხება სტუდენტს, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობს, 6 წლის, ანუ 12 სემესტრის განმავლობაში დამატებით 15 კრედიტის აღების უფლება თავისთავად აქვს და ამას არაფერი საერთო არა აქვს პროგრამის ჭარბ 4 კრედიტთან, ვინაიდან ეს ის კრედიტებია, რომლის აღება დამატებით უწევს სტუდენტს, მისი თავის დროზე სასწავლო კურსების გაუვლელობის, ან ვერ ჩაბარების გამო. რაც შეეხება სტუდენტთა ინფორმირებულობას პროგრამასთან და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ისე როგორც დღეს უნივერსიტეტში მოქმედ ყველა პროგრამაზე), განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც დევს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.ciu.edu.ge.

გარდა ამისა, პროგრამა განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში „გონი“ და როგორც მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამიდან ვკითხულობთ (იხ. მედიცინის პროგრამაში „სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების მიზანი“), „სტუდენტი ირჩევს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს შესაბამისი სემესტრის დასაწყისში, რაშიც მას სასწავლო პროცესის მართვის სისტემა დაეხმარება. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ავტორიზებულია ამ პროგრამაში (გააჩნია საკუთარი პაროლი) და შეუძლია სემესტრის დაწყებამდე გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს, გააკეთოს მისთვის სასურველი არჩევანი.

სტუდენტს შეუძლია თავისი არჩევანი ელექტრონულად დააფიქსიროს. სემესტრის დასაწყისში, სტუდენტის მიერ ავტორიზაციის გავლისთანავე მას საკუთარ ელექტრონულ დაფაზე დახვდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიმდინარე სემესტრის შესაბამისი სავალდებულო დისციპლინები, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები შეეთავაზება ჩამონათვალის სახით, რომლიდანაც ის გააკეთებს არჩევანს დაშვებული მაქსიმალური კრედიტების ფარგლებში“.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი 2013 წლიდან ახორციელებს მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამასაც. ამ პროგრამამ 2018 წლის სექტემბერში წარმატებით გაიარა განმეორებითი აკრედიტაცია. პროგრამის განხილვისას, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან გამოითქვა რჩევა, პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ წინაპირობად მოგვეთხოვა ქიმიისა და ბიოლოგიის ცოდნა, რადგან, გამოცდილებიდან გამომდინარე, უცხოელ სტუდენტებს არ ქონდათ ამ საგნებში ისეთი საბაზისო ცოდნა, რაც მათ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების უპრობლემოდ ათვისებაში დაეხმარებოდათ. ინსტიტუციამ რჩევა არა მხოლოდ ინგლისურენოვან, არამედ ქართულენოვან პროგრამაშიც გაითვალისწინა და პროგრამაზე მიღების წინაპირობად ქიმიასა და ბიოლოგიაში იმაზე მეტი კომპეტენციის ზღვარი დავაწესეთ, ვიდრე ამ საგნებში ეროვნულ გამოცდებზეა დაწესებული. კერძოდ, ორივე საგანში 35+1, 35+1 ქულა, ნაცვლად 25 ქულისა. მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსები: „ქიმია მედიკოსებისთვის“; „ბიოლოგია მედიკოსებისთვის“ და „ფიზიკა მედიკოსებისთვის“ პროგრამიდან მაინც არ იქნა ამოღებული და სტუდენტებს საშუალება მიეცათ, ამ სამიდან აირჩიონ და შეისწავლონ ის საგნები, რომელშიც მათ ეროვნული გამოცდა არ ჩაუბარებიათ და ცოდნის გაღრმავება ჭირდებათ.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, მედიცინის პროგრამაში „ზოგადი ქირურგია“ ისწავლება ერთ სემესტრად, 6 კრედიტის მოცულობით. პროფესორთა მიერ საგნისადმი ასეთი მიდგომა განპირობებული იყო იმით, რომ, როგორც სილაბუსიდანაც ჩანს, სასწავლო კურსი ამ სახელწოდებით, ფაქტობრივად მოიცავს ქირურგიის ზოგად საკითხებს და ის ერთგვარი შესავალია ქირურგიაში. გარდა ამისა, სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც სილაბუსშია მითითებული, თავისი მოცულობით, ასათვისებლად არ საჭიროებს იმაზე მეტ დროს, ვიდრე ეს სილაბუსითაა გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ტერმინი „ ზოგადი ქირურგია“ გაცილებით უფრო ფართოა და ის გულისხმობს მუცლის ღრუს ქირურგიასაც. რაც შეეხება ქირურგიის მოდულს ჩვენს პროგრამაში, გარდა „ზოგადი ქირურგიისა“ – 6 კრედიტი, (მე-6 სემესტრი), მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: თორაკალური, კარდიოვასკულური ქირურგია - 3 კრედიტი (მე- 7 სემესტრი); უროლოგია -2 კრედიტი (მე- 7 სემესტრი); მუცლის ღრუს, ენდოკრინული ქირურგია - 5 კრედიტი (მე-8 სემესტრი); ტრავმატოლოგია და ორთოპედია- 4 კრედიტი (მე- 9 სემესტრი); გადაუდებელი ქირურგია - 5 კრედიტი (მე- 10 სემესტრი); ნეიროქირურგია - 3 კრედიტი (მე- 11 სემესტრი); ოტორინოლარინგოლოგია - 3 კრედიტი (მე- 11 სემესტრი), სულ ჯამში 31 კრედიტი. ამას გარდა, მე- 5 სემესტრში სტუდენტები სწავლობენ ქირურგიის საბაზისო პრაქტიკულ უნარებს საგანში „ რეგიონული ანატომია ქირურგიის საბაზისო უნარებით“- 5 კრედიტად.

აღსანიშნავია ასევე დაწესებულების პასუხი მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ "ინტერპერსონალური და ტრანსფერული უნარების შესახებ სასწავლო კურსების მკაფიო ჩართვა სამედიცინო პროგრამაში (მაგ. კურსები პროფესიონალიზმის, კლინიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების, სამედიცინო ეთიკისა და კანონის, ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ) დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად".

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ისე, რომ სტუდენტმა მიაღწიოს დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ სწავლის ყველა შედეგს. მაგალითად, სამედიცინო ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვის უნარის გამოსამუშავებლად პროგრამაში გათვალისწინებულია: სამედიცინო ბიოეთიკა, სასამართლო მედიცინა და მედიცინის სამართლებრივი ასპექტები; კლინიკური მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს სტუდენტი პირველ ეტაპზე გამოიმუშავებს ყველა იმ საგანში, სადაც კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება გამოიყენება. ასეთია: მოდული: სასუნთქი სისტემა; მოდული: საჭმლის მომნელებელი სისტემა; მოდული: გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემის დაავადებათა საფუძვლები; მოდული: სასუნთქი სისტემის დაავადებათა საფუძვლები; მოდული: საშარდე, რეპროდუქციული სისტემები; მოდული: ენდოკრინული, ნერვული სისტემის დაავადებათა საფუძვლები; მოდული: საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემების დაავადებათა საფუძვლები. ზემოთ აღნიშნული უნარები ასევე გამომუშავდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, მაგალითად: მოდული: ენდოკრინული სისტემა, კანი; მოდული: საჭმლის მომნელებელი სისტემა; მოდული: გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემების დაავადებათა საფუძვლები; მოდული: სასუნთქი სისტემების დაავადებათა საფუძვლები; მოდული: ენდოკრინული, ნერვული სისტემის დაავადებათა საფუძვლები; მოდული: საჭმლის მომნელებელი, საშარდე სისტემების დაავადებათა საფუძვლები. სწავლების კლინიკურ ეტაპზე აღნიშნულ უნარებს აღრმავებენ უკლებლივ ყველა კლინიკური სასწავლო კურსები. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, პროფესიონალიზმი არის უნარი და არა სასწავლო კურსი (ასევეა დარგობრივ მახასიათებელშიც). პროფესიონალიზმის უნარის გამომუშავებაც ასევე გადანაწილებულია სწავლების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სასწავლო კურსებში. მაგალითად: კლინიკური უნარები, კომუნიკაციის უნარები, სამედიცინო ბიოეთიკა, სამედიცინო ფსიქოლოგია და ა.შ.). რაც შეეხება სამედიცინო კონტექსტში საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარს, მისი გამომუშავება გადანაწილებულია კურსებზე: სამეცნიერო კვლევის საფუძვლები; ბიოსტატისტიკა და ეპიდემიოლოგია; საზოგადოებრივი ჯანდაცვა; სამეცნიერო კვლევის უნარები; სამეცნიერო ნაშრომის წერა. ხაზგასმით შეიძლება თქმა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით ისწავლება დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული ყველა საგანი, რომლებიც სტუდენტებში ინტერპერსონალური და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას უწყობენ ხელს.
რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, რაც შეხება 2.5 ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილში ექსპერტების მხრიდან გამოთქმულ მოსაზრებებს, კლინიკურ სწავლებასთან და პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, რომ 3 საკონტაქტო საათი კლინიკურ სწავლებაზე (მათ შორის, 1 სალექციო საათი), არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სტუდენტმა იმუშაოს პაციენტთან, როგორც AMEE-ს კონფერენციაზე გაჟღერდა, სტუდენტმა არანაირი მანიპულაცია არ უნდა ისწავლოს პაციენტზე. პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად პროგრამაში არის კლინიკური პრაქტიკული უნარების შემსწავლელი სასწავლო კურსები, ზოგჯერ დამოუკიდებელი სასწავლო კურსების სახით, ზოგჯერ კი ინტეგრირებული შესაბამის კლინიკურ საგნებთან. მაგალითად: მე-6 სემესტრში კლინიკური უნარები (შინაგანი მედიცინა) – 2 კრედიტი, მე- 7 სემესტრში, კლინიკური უნარები მეანობასა და გინეკოლოგიაში – 2 კრედიტი (მოდულის შემადგენლობაში); მე- 8 სემესტრში კლინიკური უნარები პედიატრიაში (მოდულის შემადგენლობაში) – 2 კრედიტი; მე - 12 სემესტრში შემაჯამებელი კლინიკური უნარები

(მოდულის შემადგენლობაში)- 5 კრედიტი. საერთო ჯამში კლინიკური უნარების შემსწავლელი კურსების მოცულობა 17 კრედიტია (იხილეთ სილაბუსები).
კლინიკური პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად უნივერსიტეტში არსებობს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, რომელიც 12 სადგურს მოიცავს. თითოეული აღჭურვილია უახლესი სამედიცინო-სასწავლო ტექნოლოგიებით (იხ. მედიცინის პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, გვ. 64).
აღნიშნული ცენტრი აკრედიტაციის ექსპერტებმა ვიზიტის პირველ დღეს ვიზუალურად დაათვალიერეს. კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში ფართოდ არის განხილული კლინიკური სწავლებისას, პაციენტთან მუშაობის საკითხები, რამაც ასახვა ვერ ჰპოვა 2.5. ქვესტანდარტის აღწერილობით ნაწილში წარმოდგენილ ცხრილში.
კერძოდ, სწავლების ერთ- ერთი მეთოდი, რომელიც კლინიკური სწავლების ეტაპზე ყველა სასწავლო კურსის ფარგლებში გამოიყენება, არის ქეისზე დაფუძნებული სწავლება მაგალითად: ალერგოლოგიაში, კლინიკურ ჰემატოლოგიაში. სილაბუსში ვკითხულობთ: „კლინიკური სწავლებისას კონფერენციებზე მოხდება სპეციფიური კლინიკური შემთხვევების გარჩევა. შესაძლებელი იქნება პაციენტთან კონტაქტი (მისი ნებართვის შემთხვევაში, ფიზიკური გასინჯვის ჩათვლით) პედაგოგის და კლინიკის პერსონალის ზედამხედველობით“.
კომუნიკაციის უნარები: სტანდარტიზებული პაციენტი, პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება, კლინიკურ გარემოში სწავლება;
პედიატრია (შემაჯამებელი კურსი): შემთხვევის განხილვა - მოხდება სპეციფიური კლინიკური შემთხვევების გარჩევა. შესაძლებელია პაციენტთან კონტაქტი (ფიზიკური გასინჯვის ჩათვლით), პედაგოგის და კლინიკის პერსონალის ზედამხედველობის ქვეშ;
ფსიქიატრია: ექიმ-პაციენტის ინტერვიუს მსვლელობაზე დასწრება, CBL;
რევმატოლოგია და სისტემური დაავადებები: მუშაობა პაციენტთან ზედამხედველობის ქვეშ. რაც შეეხება შეფასების თანამედროვე მეთოდებს, სწავლების კლინიკურ ეტაპზე OSCE ტარდება გაცილებით უფრო მეტ საგანში, ვიდრე ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ცხრილშია.
უნივერსიტეტის მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის დანართში #18, საქაღალდეში „პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციების შეფასება”, წარმოდგენილი გვაქვს 2020 წელს კლინიკური უნარ - ჩვევების ცენტრში ჩატარებული 12 სადგურიანი OSCE-ების მოკლე ანალიზი, კლინიკური უნარ - ჩვევების ცენტრის ხელმძღვანელის 2019 და 2020 წლების ანგარიში; მოდულში „სხეულის სტრუქტურა კლინიკური კორელაციებით“ 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩატარებული OSPE-სინტეგრირებულიგამოცდის ანგარიში და OSCE -ის გამოცდების ამსახველი ფოტო მასალა.
მე-18 დანართის საქაღალდეში „სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება“, გარდა ბოლო სამი სემესტრის განმავლობაში ჩატარებული სტუდენტთა სწავლის შედეგების ანალიზისა, წარმოდგენილი გვაქვს ჩვენს მიერ შემუშავებული პროფესიონალიზმის შეფასების მექანიზმი (ქართულ და ინგლისურ ენებზე). კლინიკურ სასწავლო კურსებში შეფასების ერთ-ერთი მეთოდია ასევე ქეისის განხილვა, რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც ცალკეული სასწავლო კურსების, ასევე მოდულის შესაფასებლად, მაგალითად:ინფექციური დაავადებები - X სემესტრი; დერმატოლოგია - X სემესტრი; ალერგოლოგია - X სემესტრი; ფსიქიატრია - XI სემესტრი; მოდული კლინიკური მედიცინა - XII სემესტრი. იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც წერითი გამოცდით ფასდება, საგამოცდო ტესტი წარმოდგენილი იქნება კლინიკური ქეისის სახით.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესი“, რომლის შესაბამისადაც მუდმივად ატარებს კონკურსებს აკადემიურ თანამდებობათა

დასაკავებლად. კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით რექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის შემდეგაც განცხადება, კონკურსის გამოცხადების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 1 თვით ადრე ქვეყნდება საჯაროდ.
გარდა ამისა, საკონკურსო განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზეც, 1 თვით ადრე კონკურსის ჩატარებამდე. საკონკურსო განცხადებაში გაწერილია ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორისა და ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების, ასევე პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველი.გარდა ამისა, საკონკურსო განცხადებაში გაწერილია ის დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია იმისთვის, რომ კონკურსანტს თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭოს. ეს კრიტერიუმებია: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სასერთიფიკატო კურსებსა და ტრენინგებში მონაწილეობა; სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების არსებობა; საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციები; ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში შესაბამისი დარგის სადოქტორო პროგრამაზე სწავლა და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება; ნებისმიერი აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ინგლისური ენის ფლობა. შესაბამისად, ეს პროცესი ნამდვილად გამჭვირვალეა და ამასთან დაკავშირებით ექსპერტების მხრიდან ვიზიტის დროს კითხვა რომ დასმულიყო, აუცილებლად წარვადგენდით დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, “პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად კლინიკებთან გაფორმებულ მემორანდუმებში უნდა იყოს მითითებული კლინიკური კურსების სახელები და იმ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან პრაქტიკულ კურსებს“ - დღეისათვის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კლინიკური სწავლების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 56 მრავალპროფილურ კლინიკასთან და სამედიცინო დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული. მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კლინიკებთან გაფორმებულ მემორანდუმებში მითითებული იყოს კლინიკური კურსების სახელები და იმ სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც კლინიკაში კონკრეტულ კურსებს გაივლიან, მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში არ არის. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, კლინიკური კურსები ძირითადად როტაციის პრინციპით მიმდინარეობს და ისინი ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს. კონკრეტული კლინიკური კურსის დაწყების წინ ხდება ცნობილი, თუ რამდენი სტუდენტი იქნება მასზე დაშვებული, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა მათგანს დაშვების წინაპირობა აქვს, რომელიც შესაძლოა ყველა სტუდენტმა ვერც კი დააკმაყოფილოს. მიუხედავად ყველაფრისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კლინიკებთან დამატებითი შეთანხმების ფორმა, რომელიც უშუალოდ კლინიკური სწავლების დაწყების წინ ფორმდება. სწორედ ამ დამატებითი შეთანხმების დროს კონკრეტდება რომელი კლინიკური საგანი უნდა გაიარონ სტუდენტებმა აღნიშნულ კლინიკაში, რა ვადებში უნდა მოხდეს სწავლება და რამდენი სტუდენტია დაშვებული კონკრეტულ სასწავლო კურსსა თუ მოდულზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს აღნიშნული საკითხი რომ დასმულიყო, უნივერსიტეტი უპრობლემოდ წარადგენდა აღნიშნული შეთანხმების ფორმას.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტია სასწავლო პროცესისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფა. ორივე პროცესის ეპიცენტრში სტუდენტია, რომლის კმაყოფილება უნივერსიტეტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.
გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში 4 დაინტერესებული მხარე არსებობს, ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმებთან ერთად,

სტუდენტებისთვისაც აქვს შემუშავებულიკითხვარები სასწავლო კურსებისა და ლექტორების შესაფასებლად, რომლითაც ისინი ყოველი ახალი სემესტრის დაწყებამდე როგორც სიტყვიერად, ასევე ქულობრივად აფასებენ წინა სემესტრში გავლილ ყველა სასწავლო კურსსა და ლექტორს (იხ. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი, მედიცინის პროგრამის დანართში #19, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ფორმა). ამ გამოკითხვების საფუძველზე ხდება სწორედ პროგრამებში ცვლილებების შეტანა და მათი განვითარება. ამაზე მეტყველებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი პროგრამების განვითარების მიზნით და შედეგების გამოყენების ბოლო 4 წლის ანალიზი (იხ. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი, მედიცინის პროგრამის დანართი #19).

გარდა პროგრამებისა, ძალზედ მნიშვნელოვანია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა უნივერსიტეტში არსებულ სხვადასხვა რესურსებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზემოაღნიშნულ კითხვარში, რომლითაც სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლებს და სასწავლო კურსებს აფასებენ, ერთ-ერთი კითხვა ბიბლიოთეკას ეხება: „რამდენად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა, არის თუ არა აღნიშნული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში“.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს რა გამოკითხვის შედეგებს, ამზადებს შესაბამის ანგარიშს .

2019-2020 წლის II სემესტრში, პანდემიის დაწყებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ელექტრონული სწავლების წესი ხოლოელექტრონული სწავლების პროცესის შესაფასებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა არაერთი კითხვარი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სტუდენტის მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი ონლაინ სწავლებისას და სტუდენტის მიერ ონლაინ კურსის შეფასების ფორმა.მოყოლებული 2020 წლის გაზაფხულიდან დღემდე, აღნიშნული კითხვარებით შეფასებები მიმდინარეობს განუწყვეტლად, რომლებსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად აანალიზებს და გასცემს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ესწრება ონლაინ ლექციებსაც და პრობლემების იდენტიფიცირების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს მათ აღმოსაფხვრელად.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2019-2020 სასწავლო წლის დასასრულს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა ფაკულტეტის ფარგლებში ჩაატარა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კვლევა და შეაფასა ონლაინ სწავლებისას თითოეული ფაკულტეტის მიერ დასახელებული დადებითი მხარეები და გამოკვეთილი პრობლემები, პროფესორებისა და სტუდენტებისმხრიდანგამოთქმულიმოსაზრებები, რომელთა გაანალიზების შედეგად დაისახა 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე მათი გადაჭრის გზები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

მოწვეული საბჭოს წევრმა, თამარ ვალიშვილმა აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული 2.3 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაცია და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დეტალურად განმარტებისკენ.

მოწვეული საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალის დენადობის მაღალი მაჩვენებელი 2019-2020 წლებში აღემატება 30%-ს და შესაბამისად მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

მოწვეული საბჭოს წევრმა, მარინე გელანტიამ დააზუსტა ხომ არ ფიქრობს დაწესებულება კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე ინფექციური დაავადებების შესახებ საათების გაზრდას.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დააზუსტა თუ როგორ მიმდინარეობს უნივერსიტეტში კლინიკური სწავლება პანდემიის პირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კრედიტების გადანაწილება მოხდა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად მიკრობიოლოგიაში არის ლაბორატორიული სამუშაო, რომლის ხარჯზეც მოხდა საკონტაქტო საათების გაზრდა, ხოლო რაც შეეხება ფარმაკოლოგიას, საგნის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა მეტი საკონტაქტო საათის დათმობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა დენადობასთან დაკავშრებით განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშის შედგენის პერიოდში საკამოდ ბევრ აკადემიურ პერსონალს ამოეწურა ვადა, ხოლო შემდეგ მოხდა ახალი აკადემიური პერსონალის არჩევაც. შესაბამისად, მოცემული მაჩვენებული მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში არსებობდა.
დაწესებულება დაეთანხმა საბჭოს წევრთა მოსაზრებას ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს საკითხების დამატებას და აუცილებლობის შემთხვევაში საათების დამატებასაც.
დაწესებულების წარმომადგენელმა კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კლინიკური სწავლება მიმდინარეობს ჰიპრიდულად, რაც ნიშნავს იმას, რომ ლექციები ტარდება ონლიან, ხოლო კლინიკებში სტუდენტები მიდიან ჯგუფებად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:51
დასრულების დრო: 18:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები, კერძოდ ამოღებულ იქნა მეორე სტანდარტის 2.2 ქვეკომპონენტში გაცემული ერთ-მეორე რეკომენდაცია, 2.4 ქვეკომპონენტში დამატებით გადმოვიდა ერთი რეკომენდაცია და დაემატა ერთი რჩევა, 2.5 ქვეკომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, ხოლო რჩევა ამოღებულ იქნა, 2.6 ქვეკომპონენტში გაცემული მეორე რჩევა გადავიდა რეკომენდაციებში, შედეგად არ შეიცვალა მთლიანად მე-2 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". 4.1 ქვეკომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, ხოლო 4.3 ქვეკომპონენტში განსაზღვრული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა, შესაბამისად მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" ნაცვლად, ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია იქონიოთ არგუმენტირებული პოზიცია დამატებით ECTS კრედიტებთან დაკავშირებით და მკაფიოდ გამოიკვეთოს ECTS–ი განაწილების სპეციფიკა, მისი როლი პროგრამაში და თუ როგორ უნდა იყოს იგი მართული დროში. ეს ინფორმაცია გამჭვირვალე და მკაფიო უნდა იყოს ასევე სტუდენტებისათვისაც;
2. ზოგადი ქირურგიის საკონტაქტო საათების გაზრდა, რათა უკეთ იქნას ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცული;
3. სწავლის შედეგების მისაღწევად, რომლებიც შემუშავებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის ბოლო ვერსიაში, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნათლად იქნეს მოცული შესაძლებლობები პიროვნული (soft skills) და ტრანსფერული უნარების შესახებ (განსაკუთრებით პროფესიონალიზმზე, კლინიკურ არგუმენტაციასა და

გადაწყვეტილების მიღებაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე) დიდაქტიკური სესიები/კურსების ან/და თითქმის ყველა კურსში ინტეგრირებული თემების საშუალებით;

4. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, კლინიკებთან მემორანდუმებში უნდა მიეთითოს კლინიკური კურსების სახელწოდება;
5. გაუმჯობესდეს კლინიკურ გარემოში სწავლის, სწავლების მეთოდები;
6. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს საფუძლიანი რევიზია კლინიკურ როტაციებში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდებისა, როგორებიცაა პორტფოლიო მსგავსი სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება;
7. სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტი შეფასებისთვის, პროგრამის კლინიკურ სასწავლო კურსებში სასურველია კომპონენტებისა და შეფასების კრიტერიუმების დაზუსტება.

რჩევები:

- კურსების სილაბუსებში სტუდენტებს მიეთითოს სახელმძღვანელოების უფრო ახალი გამოცემები;
- მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც გაივლიან სტაჟირებას კლინიკაში;
- საგნის სპეციფიკის შესაბამისად მოხდეს საბაზისო სასწავლო კურსების შეფასების სისტემის დივერსიფიკაცია;
- სტუდენტთა სერვისების სისტემას დაემატოს მომსახურების ფუნქციები;
- გაფართოვდეს ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მეტი გაცვლითი პროგრამა გახდეს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის;
- სასურველია უნივერსიტეტმა მეტი გამჭვირვალობისთვის მკაფიოდ განსაზღვროს აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არჩევა ხდება განსხვავებული წესით;
- მიზანშეწონილია ბეჭდური სახელმძღვანელოების ჩანაცვლება უფრო ახალი ან უახლესი გამოცემებით;
- სასურველია გადაიხედოს ბიუჯეტი და თანხები გადანაწილდეს პრიორიტეტებისა და საჭიროებების შესაბამისად; მაგალითად, ლაბორატორიისთვის, აგრეთვე მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისტრენინგებისათვის გამოყოფილი წლიური დაფინანსების ოდენობა და ა.შ.;
- თვითშეფასების ანგარიშში იმ აქტივობების უკეთ აღწერა, რომლებიც კსუ-მ განახორციელა გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენებით. მაგალითად, უფრო დეტალური ინფორმაცია კსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უცხოელი ექსპერტის ვიზიტის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 28
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011 გადაწყვეტილება №341
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ლუბლიანასქ. 13/ ჭიაურელის 6; ქ. თბილისი.აკ. წერეთლის გამზ. №121, ქ. რუსთავი, სანაპიროს ქ. №69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის პროცესი აღწერს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სიტუაციურ ანალიზს. სამუშაო ჯგუფში შედის ფაკულტეტის 17 წევრი, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე და რომლებმაც შესაბამისად, შეადგინეს ანგარიში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტები. ისინი მოიცავს უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშს (თვითშეფასების ანგარიში 2021 წ. მარტი), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საქართველოს ავტორიზაციის სტანდარტების, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდის გათვალისწინებით, და დამატებით დოკუმენტებს, რომლებიც ვიზიტამდე მოითხოვა ექსპერტთა ჯგუფმა. პანდემიის გამო, ადგილზე ვიზიტი უმეტესად ონლაინ რეჟიმში განხორციელდა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს თავდაპირველი შთაბეჭდილებები და გაიარეს სხვადასხვა სესიები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ონლაინ ვიზიტის მოსამზადებლად. განათლების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ორი ზუმ-შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს მოსაზრებები და განიხილეს ძირითადი თემები გასაუბრებისთვის. ისინი ასევე შეთანხმდნენ, ვიზიტის პროგრამის სამუშაო ვერსიაზე. ადგილზე ვიზიტი შესრულდა 2021 წლის 17 და 18 მაისს. პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისგან: ონლაინ შეხვედრები და ადგილზე ვიზიტი. პირველ დღეს, დილით, ჯგუფის ორმა ქართველმა წევრმა მიიღო მონაწილეობა შენობის ადგილზე დათვალიერებაში, ხოლო ჯგუფის დანარჩენი ნაწილი მათთან ინტერნეტით იყო დაკავშირებული. ონლაინ შეხვედრების დროს, ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა 12 გასაუბრებას. ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, PBL მასწავლებლებს, დამსაქმებლებს, ინგლისურენოვან და ქართველ სტუდენტებს, ინგლისურენოვან და ქართველ კურსდამთავრებულებს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებს. გასაუბრებებმა საშუალება მოგვცა განგვეხილა და დაგვეზუსტებინა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მიგნებები და შეგვეგროვებინა უფრო კონკრეტული მტკიცებულებები. ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა თითოეულ სტანდარტთა შესაბამისობის შესახებ. ადგილზე ვიზიტი დასრულდა უნივერსიტეტთან საბოლოო შემაჯამებელი შეხვედრით.
რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას, უნივერსიტეტი კარგად იყენებს ერაზმუსის PBL პროექტის ტრადიციული პროგრამის შემუშავებისა და სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისთვის. გარდა ამისა, ინსტიტუცია იყენებს ვირტუალური პაციენტებს კლინიკური

უნარების კურსებზე. დაწესებულებას აქვს კარგად აღჭურვილი უნარების ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ნებისმიერ დროს პრაქტიკის განსახორციელებლად. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული სასწავლო მასალა და კარგი სკანერი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; მას, ასევე, აქვს კომფორტულ ადგილი კითხვისთვის. აღსანიშნავია ასევე, რომ უნარების ლაბორატორიას აქვს თანამედროვე მანეკენები და პლასტიკის ნაწილები. უნარებისერთ-ერთმა ლაბორატორიამ აკრედიტაცია მიიღო.

შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა.
2. გადაიხედოს სასწავლო გეგმის სილაბუსები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
3. გადაიხედოს წინაპირობები სილაბუსებში და გახდეს ისინი გასაგები და ნათელი.
4. შევიდეს შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსში / მოდულსა და სილაბუსებში.
5. გაძლიერდეს პაციენტებთან პრაქტიკული უნარების სწავლება კლინიკურ წლების განმავლობაში.
6. სტუდენტების შეფასებები გახდეს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის.
7. დაწესებულებამ გამოიყენოს სრულად თანამედროვე და სტრუქტურული სტუდენტთა შეფასების სისტემა, როგორებიცაა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, მინი- CEX -კლინიკური შეფასების სავარჯიშო და DOPS-პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება, კლინიკური სწავლების ყველა წელს, და არა მხოლოდ მე-6-ზე.
8. პერსონალის შერჩევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან.
9. დაწესებულებამ დააბალანსოს სამუშაო დატვირთვა ფაკულტეტის წევრებს შორის.
10. ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა.
11. ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა.
12. მოეწყოს სკოლის ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ან ფაკულტეტის წევრებისთვის.
13. დაწესებულებამ ბიუჯეტში გამოყოს კონკრეტული სახსრები პერსონალის სამეცნიერო და პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკის ფონდის შევსებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა განსაზღვრული რეკომენდაციების მნიშვნელობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინსტიტუციას წარმოდგენილი აქვს თავისი არგუმენტირებული პოზიცია ყველა რეკომენდაციასთან მიმართებით და მზად არის დაინტერესების შემთხვევაში პასუხის გასცეს დასმულს შეკითხვებს.
მნიშვნელოვანია, რომ პრე-რეკვიზიტის დამატება ყველა სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს აუცილებელია სასწავლო გეგმაში პრობლემა არ არის, მით უფრო, რომ ეს ყველა სილაბუსშია განსაზღვრული. ამას მხოლოდ სასწავლო გეგმის ფორმატის ცვლილება სჭირდება; ესეც არ არის პრობლემა თუ ექსპერტები ამას გვირჩევენ; არც აქამდე მიღებულ პროგრამათა შეფასებაში (2019 წ) ეს არ ყოფილა აღნიშნული. თუმცა თუ ამას ექსპერტები აუცილებლად თვლიან შევიმუშავებთ ახალ ფორმას, სადაც აღნიშნული იქნება გათვალისწინებული.
რაც შეეხება შედეგების რუქას, კურსების სილაბუსის პროგრამის შედეგებთან მეფინგისთვის არსებობს ე. წ. რუქა, რომელიც აღწერს კურსის შედეგების LO-თან შესაბამისობას; ამასთან, თავად კურსების შინაარსი, მისი შედეგები შეიძლება ბევრად მრავალფეროვანი იყოს, როგორც ამას სამედიცინო განათლებაში საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს; „სილაბუსის შინაარსის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან, მათ შორის კრედიტების რაოდენობის შესაბამისი კურსის შედეგებთან“ მათი პროგრამული მოცულობა საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებებში, ქცევათმეცნიერებასა, სოციალურ მეცნიერებებსა და სამედიცინო ეთიკაში, ასევე კლინიკურ მეცნიერებებსა და კლინიკურ და პროფესიულ უნარებში (WFME-ის სტანდარტით მოთხოვნილი 2015 და 2020 წლების ვერსიები) აღწერილია თვითშეფასებაში და მხარდაჭერილია ექსპერტთა მიერ ანგარიშის 1.2 სტანდარტთან მიმართებაშ. ამასთან, სტანდარტით განსაზღვრული „თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს“ (სტანდარტი 2.3) - არ ნიშნავს ზუსტ ენობრივ კოპირებას. EPAs (Entrustable Professional Activities)-ების მიხედვით კურსების რევიზია ისედაც დაგეგმილია; ამ ეტაპზე დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მათი ჩამონათვალი, აღწერილობა, განსაზღვრული გვაქვს დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასრულებისთვის მათი მიღწევის დონეები, მეტიც მათი (EPA-ების ირგვლივ) შემუშავებული სპეციალური სასწავლო მოდული უკვე მიეწოდა 16 თებერვლიდან 10 მარტამდე მეექვსე კურსს (წარმატებით პილოტირდა). შესაბამისად, დაწესებულებას აქვს „მასალა“, რომლის ანალიზით ამას პროგრამულ დონეზე დავნერგავთ, როგორც ექპერტებს მოეხსენებათ შედარებით ახალი თემაა სამედიცინო განათლებაში, არ არის მოთხოვნილი საქართველოში მოქმედი დარგობრივი დოკუმენტით, და არც ბევრ ევროპულ სკოლებშია ამჟამად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა 2.2. და 2.3 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციები და მათ შორის განსხვავებები. საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს 4.3 კომპონენტთან არსებული რეკომენდაციის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ 2.2 და 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები არ არის იდენტური. ინგლისური დოკუმენტიდან მოხდა არა კონტექსტურად გარკვეული საკითხების გადათარგმნა. 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა კურიკულუმში პრე რეკვიზიტების ჩამატებას, ხოლო 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა თავად სილაბუსებში წინაპირობების დაკორექტირებას. დოკუმენტებში აღწერილია თუ რა უნარები უნდა ჰქონდეს სტუდენტს რომ მომდევნო საგნების აითვისოს, თუმცა მითითებულია მხოლოდ უნარი და არა საგანი, შესაბამისად სტუდენტისთვის აღნიშნული შედარებით გაუგებარია.

რაც შეეხება 4.3 კომპონენტს, გაცემული რეკომენდაცია უფრო ავტორიზაციის სტანდარტია ვიდრე აკრედიტაციის, თუმცა აღსანიშნავია, რომ ლიფტამდე მისასვლელი არის მოუხერხებული და მისი გამოყენება საჭიროებს დახმარებას შშმ პირებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრე რეკვიზიტების სილაბუსში ჩართვა დაწესებულებამ სავალდებულოს ჩათვალა, მათ შორის რიგმა უნივერსიტეტებმა მოცემული სასწავლო გეგმაშიც ასახეს. EPAs (Entrustable Professional Activities)-ების მიხედვით კურსების რევიზირება ისედაც დაგეგმილია; ამ ეტაპზე დაწესებულებას განსაზღვული აქვს მათი ჩამონათვალი, აღწერილობა, განსაზღვრულია ასევე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასრულებისთვის მათი მიღწევის დონეები, მეტიც მათი შემუშავებული სპეციალური სასწავლო მოდული უკვე მიეწოდა 16 თებერვლიდან 10 მარტამდე მეექვსე კურსს.
რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, დაწესებულებას შშმ პირებისთვის შემუშავებული აქვს აკადემიური ხელშეწყობის პოლიტიკა, სადა ასევე ასახული სწავლაში დახმარების სახეობების და შესაბამისი ხერხები. განსაზღვრულია ასევე უნარშეზღუდულობის სერვისები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:24
დასრულების დრო: 20:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რჩევა, 2.3 ქვეკომპონენტის პირველ რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, ხოლო მესამე რეკომენდაცია გადავიდა 2.4 ქვეკომპონენტში და 2.4 ქვეკომპონენტში დამატებით განისაზღვრა 3 რეკომენდაცია, 2.5 ქვეკომპონენტში განსაზღვრულ რჩევას შეეცვალა ფორმულირება, 2.6 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია გადავიდა 2.4 ქვეკომპონენტში, მეორე რეკომენდაცია და პირველი რჩევა ამოღებულ იქნა, ხოლო მესამე რჩევა გადავიდა რეკომენდაციების ნაწილში, შედეგად არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება და ეს კომპონენტი ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამოღებულ იქნა 4.2 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია, 4.3 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია და რჩევა, ასევე 4.4 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია, შედეგად არ შეცვლილა მე-4 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შესაბამისად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შედეგად არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ეს კომპონენტი ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა;
2. გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები ის სილაბუსები. სადაც ტრანსფერული უნარები გათვალისწინებული და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
3. გადაიხედოს წინაპირობები სილაბუსებში და გახდეს ისინი გასაგები და ნათელი;
4. სტუდენტების შეფასებები გახდეს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის;
5. შევიდეს შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის სილაბუსში;
6. გაძლიერდეს პაციენტებთან პრაქტიკული უნარების სწავლება კლინიკურ გარემოში;

7. რეკომენდირებულია, შევიდეს შეფასების მეთოდებისა, რუბრიკების და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის სილაბუსში;
8. რეკომენდირებულია, სრულად დაინერგოს სტუდენტთა შეფასების თანამედროვე მეთოდები (მაგ: OSCE ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), რომლებიც იქნება უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის;
9. დაკონკრეტდეს კლინიკური პრაქტიკის მიმართულებები, სტუდენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა პრაქტიკაზე კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
10. გაიზარდოს გამსვლელი ქულის ზღვარი კლინიკურ განყოფილებაში საბოლოო (საგამოცდო) შეფასებისას;
11. პერსონალის შერჩევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან;
12. დაწესებულებამ დააბალანსოს სამუშაო დატვირთვა ფაკულტეტის წევრებს შორის;
13. ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა;
14. ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა.

რჩევები:

- დაწესებულებამ პროგრამის მიზნებში ჩართოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ზუსტი/პერსონალიზირებული მედიცინა, დიდი მონაცემების გამოყენება და სანდო პროფესიული საქმიანობა, რაც განვითარებადი სამედიცინო განათლების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- განახორციელეთ განვითარებული მენტორობის პროგრამა;
- ხაზგასმით აღინიშნოს დაშვების კრიტერიუმებში, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ინგლისურ ენაზეა და ყველა წიგნი ინგლისურადაც არის ხელმისაწვდომი;
- შინაგანი მედიცინის კურსების ინტეგრირება განხორციელდეს უფრო ჰოლისტიკური გზით;
- გაიზარდოს არჩევითი კურსების. რაოდენობა და განხორციელდეს პროგრამის პირველივე წლებიდან;
- გადაიხედოს სილაბუსები, კერძოდ, კურსების მეორადი მიზნების რელევანტურობა ძირითად მიზნებთან და სწავლების წელი;
- გაიზარდოს ინტეგრაციის დონე სწავლების პირველ წელს;
- გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოები;
- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში;
- დაწესებულებამ გამოიყენოს უფრო სტანდარტიზებული პაციენტების სესიები კლინიკურ წლებში (4-5 წელი) კლინიკურ საგნებში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები ანამნეზის აღებაში, კონსულტაციაში;
- შემცირდეს სტუდენტებისა და კლინიკური მასწავლებლების თანაფარდობა პრაქტიკული მუშაობის დროს კლინიკურ საგნებში;
- განახლდეს ჟურნალი და მიეცეს პორტფოლიოს ფორმა (აქცენტი გაკეთეთ პროფესიული ქცევის შეფასებაზე);
- ები პროგრამის განვითარებისთვის: - ამაღლდეს სტუდენტების მოტივაცია, მიიღონ მონაწილეობა კვლევებში;
- გაიზარდოს ფაკულტეტის წევრების მიერ კლინიკური სწავლების ფაზაში ხელმძღვანელობის შემთხვევები;
- გაუმჯობესდეს და გამჭვირვალე გახდეს აკადემიური პერსონალის არჩევისა და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურა და პირობები;

- მოხდეს მონიტორინგის სისტემატიზირება და ანგარიშგების თანმიმდევრულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 29
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011 გადაწყვეტილება №341
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა

12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ლუბლიანასქ. 13/ ჭიაურელის 6; ქ. თბილისი.აკ. წერეთლის გამზ. №121, ქ. რუსთავი, სანაპიროს ქ. №69
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის პროცესი აღწერს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სიტუაციურ ანალიზს. სამუშაო ჯგუფში შედის ფაკულტეტის 17 წევრი, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზზე და რომლებმაც შესაბამისად, შეადგინეს ანგარიში. პანდემიის გამო, ადგილზე ვიზიტი უმეტესად ონლაინ რეჟიმში განხორციელდა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს თავდაპირველი შთაბეჭდილებები და გაიარესსხვადასხვა სესიებიელექტრონული ფოსტის მეშვეობითონლაინ ვიზიტის მოსამზადებლად. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა ორი ზუმ-შეხვედრა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაცვალეს მოსაზრებები და განიხილეს ძირითადი თემები გასაუბრებისთვის. ისინი ასევე შეთანხმდნენ, ვიზიტის პროგრამის სამუშაო ვერსიაზე. ადგილზე ვიზიტი შესრულდა 2021 წლის 17 და 18 მაისს. პროგრამა შედგებოდა ორი ნაწილისგან: ონლაინ შეხვედრები და ადგილზე ვიზიტი. პირველ დღეს, დილით, ჯგუფის ორმა ქართველმა წევრმა მიიღო მონაწილეობა შენობის ადგილზე დათვალიერებაში, ხოლო ჯგუფის დანარჩენი ნაწილი მათთან ინტერნეტით იყო დაკავშირებული. ონლაინ შეხვედრების დროს, ცენტრმა ორგანიზება გაუკეთა 12 გასაუბრებას. ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, PBL მასწავლებლებს, დამსაქმებლებს, ინგლისურენოვან და ქართველ სტუდენტებს, ინგლისურენოვან და ქართველ კურსდამთავრებულებს და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებს. გასაუბრებებმა საშუალება მოგვცა განგვეხილა და

დაგვეზუსტებინა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული მიგნებები და შეგვეგროვებინა უფრო კონკრეტული მტკიცებულებები. ვიზიტის დასასრულს, ჯგუფმა წარადგინა მოსაზრებები თითოეული სტანდარტის შესაბამისობის შესახებ.ადგილზე ვიზიტი დასრულდა უნივერსიტეტთან საბოლოო შემაჯამებელი შეხვედრით.
რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას, უნივერსიტეტი კარგად იყენებს ერაზმუსის PBL პროექტის ტრადიციული პროგრამის შემუშავებისა და სწავლება/სწავლის თანამედროვე ტექნიკის დანერგვისთვის. გარდა ამისა, ინსტიტუცია იყენებს ვირტუალური პაციენტებს კლინიკური უნარების კურსებზე. დაწესებულებას აქვს კარგად აღჭურვილი უნარების ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის ნებისმიერ დროს პრაქტიკის განსახორციელებლად. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული სასწავლო მასალა და კარგი სკანერი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის; მას, ასევე, აქვს კომფორტულ ადგილი კითხვისთვის. აღსანიშნავია ასევე, რომ უნარების ლაბორატორიას აქვს თანამედროვე მანეკენები და პლასტიკის ნაწილები. უნარებისერთ-ერთმა ლაბორატორიამ აკრედიტაცია მიიღო.
შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლებაზე კლინიკური წლების დაწყებამდე, რათა შესაძლებელი იყოს ადეკვატური კომუნიკაცია ქართველ პაციენტებთან. დაემატოს ქართული ენის სასწავლო კურსი უცხოელი სტუდენტებისთვის მინიმუმ 10-20 კრედიტით სასწავლო გეგმაში.
2. სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა.
3. გადაიხედოს სასწავლო გეგმის სილაბუსები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან.
4. გადაიხედოს წინაპირობებისილაბუსებში და გახდესისინი გასაგები და ნათელი.
5. შევიდეს შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის სილაბუსში.
6. გაძლიერდესპაციენტებთან პრაქტიკული უნარების სწავლებაკლინიკური წლების განმავლობაში.
7. სტუდენტების შეფასებები გახდეს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის.

8. დაწესებულებამ გამოიყენოს სრულად თანამედროვე და სტრუქტურული სტუდენტთა შეფასების სისტემა, როგორებიცაა OSCEობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, მინი- CEX -კლინიკური შეფასების სავარჯიშო და DOPS-პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება, კლინიკური სწავლების ყველა წელს, და არა მხოლოდ მე-6-ზე.
9. პერსონალის შერჩევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან.
10. დაწესებულებამ დააბალანსოს სამუშაო დატვირთვა ფაკულტეტის წევრებს შორის.
11. ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა.
12. ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა.
13. მოეწყოს სკოლის ინფრასტრუქტურა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების ან ფაკულტეტის წევრებისთვის.
14. დაწესებულებამ ბიუჯეტში გამოყოს კონკრეტული სახსრები პერსონალის სამეცნიერო და პროფესიული განვითარების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების, ბიბლიოთეკის ფონდის შევსებისა და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა განსაზღვრული რეკომენდაციების მნიშვნელობა. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ინსტიტუციას წარმოდგენილი აქვს თავისი არგუმენტირებული პოზიცია ყველა რეკომენდაციასთან მიმართებით და მზად არის დაინტერესების შემთხვევაში პასუხის გასცეს დასმულს შეკითხვებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ქართულენოვანი პროგრამისგან განსხვავებით ინგლისურენობან პროგრამაში განისაზღვრა ერთით მეტი რეკომენდაცია, რაც ეხებოდა ქართული ენის სწავლების საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ უცხოელებს მიეწოდებათ 7,5 კრედიტის მოცულობით (16 საკონტაქტო საათი 1 კრედიტში) ქართული ენის სასწავლო კურსი; რაც ექსტრაკრედიტებია (360+7,5 კრედიტი). რეკომენდაციების შესაბამისად მისი მოცულობის გაზრდა შესაძლებელია, თუმცა უკეთესი შედეგისმისაღწევად ეს საკმარისად დაწესებულებას არ მიაჩნია. ამ საკითხში დაწესებულება ცდილობს განვითარებას მათ შორის შესაბამისი (სამედიცინო განათლებისთვის) რესურსების იმპლემენტაციით; კერძოდ, მოხდა კურსების რევიზირება და განახლება (2020 წ), პედაგოგთა მომზადება რევიზირებული კურსების მიწოდებაში; ამასთან, არ ხერხდება ამ საკითხის ირგვლივ (ქართული ენის სწავლება უცხოელთათვის) ეროვნულ დონეზე თანამშრომლობა, რათა გაზიარებული იყოს ის პრაქტიკა, რასაც ამ საკითხში ბევრი სხვა ქვეყანა მიმართავს; ერთიანი მიდგომის შემუშავების გარეშე ერთი პროგრამის ან უნივერსიტეტის ფარგლებში საკითხის (უცხოელ სტუდენტებს ჰქონდეთ კარგი ენობრივი კომპეტენციები ქართველ პაციენტებთან დამოუკიდებლად კომუნიკაციის რადიკალურად გადაჭრა უკლებლივ ყველა სტუდენტისთვის (რომელიც განათლებას საქართველოში იღებს) პრობლემური იქნება; თუმცა, დაწესებულებას აქვს ის მოცემულობა, რაც მთლიანად საქართველოშია და როგორც ზემოთ აღინიშნა აქვს ახალი (რევიზირებული) ქართული ენის პროგრამა, რომლის მიწოდება დაიწყო ამა წლის ივნისის თვეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ პროცენტულარ რამდენ სილაბუსშია დაფიქსირებული 2.3 რეკომენდაციაში განსაზღვრული პრობლემა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ორივე პროგრამაში შრომის ბაზრის კვლევა არის იდენტური. შესაბამისად საბჭოს წევრა დააზუსტა, რომ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი კურსდამთავრებული გადის ერთი და იმავე შრომის ბაზარზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა 2.3 კომპონენტთა დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში მრავალი სასწავლო კურსია განსაზღვრული რომელთა შინაარსი შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან. დარგობრივ დოკუმენტში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელის სასწავლო კურსი რამდენს კრედიტს უნდა მოიცავდეს.
რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, 2011 წელს აკრედიტებული იყო როგორც ქართული ასვე ინგლისური პროგრამა, რაც განიხილებოდა როგორც ერთიანი სასწავლო პროგრამა. დაწესებულებას ჰაყვს როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულები. ის საკითხები რაც პროგრამის ფარგლებში არის განხილული თანაბრად არის საჭირო და აუცილებელი როგორ ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის.
ექსპერტმა სილაბუსებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სილებუსების 80%-ში მიზანი და ამოცანები ზოგადი უნარების თვალსაზრისით აბსოლუტურად მეორდება. კლინიკური სწავლების სილაბუსებში მიზანი შინაარსი და შედეგები არ ემთხვევა შინაარსობრივად ერთმანეთს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამეცნიერო უნარები, ისევე როგორც კომუნიკაციის უნარები სილაბუსის ფარგლებში რა თქმა უნდა მეორდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:24
დასრულების დრო: 20:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, 1.2 ქვეკომპონენტში დაემატა რჩევა, 2.2 და 2.3 ქვეკომპონენტების პირველ რეკომენდაციებს შეეცვალა ფორმულირება, ხოლო მესამე რეკომენდაცია გადავიდა 2.4 ქვეკომპონენტში და 2.4 ქვეკომპონენტში დამატებით განისაზღვრა 3 რეკომენდაცია, 2.5 ქვეკომპონენტში განსაზღვრულ რჩევას შეეცვალა ფორმულირება, 2.6 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია გადავიდა 2.4 ქვეკომპონენტში, მეორე რეკომენდაცია და პირველი რჩევა ამოღებულ იქნა, ხოლო მესამე რჩევა გადავიდა რეკომენდაციების ნაწილში, შედეგად არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება და ეს კომპონენტი ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ამოღებულ იქნა 4.2 ქვეკომპონენტის პირველი რეკომენდაცია, 4.3 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია და რჩევა, ასევე 4.4 ქვეკომპონენტის რეკომენდაცია, შედეგად არ შეცვლილა მე-4 სტანდარტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. 5.1 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, შესაბამისად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შედეგად არ შეცვლილა მე-5 სტანდარტის შეფასება და ეს კომპონენტი ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება

რეკომენდაციები:

1. აქცენტი გაკეთდეს საერთაშორისო სტუდენტებისათვის ქართული ენის სწავლებაზე კლინიკური წლების დაწყებამდე, რათა შესაძლებელი იყოს ადეკვატური კომუნიკაცია ქართველ პაციენტებთან. დაემატოს ქართული ენის სასწავლო კურსი უცხოელი სტუდენტებისთვის მინიმუმ 20 კრედიტით სასწავლო გეგმაში;
2. სასწავლო გეგმაში დაემატოს წინაპირობა ყოველი სასწავლო კურსისა ან მოდულისთვის, სადაც ეს საჭიროა;

3. გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები ის სილაბუსები. სადაც ტრანსფერული უნარები გათვალისწინებული და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
4. გადაიხედოს წინაპირობები სილაბუსებში და გახდეს ისინი გასაგები და ნათელი;
5. სტუდენტების შეფასებები გახდეს უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის;
6. შევიდეს შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის სილაბუსში;
7. გაძლიერდეს პაციენტებთან პრაქტიკული უნარების სწავლება კლინიკურ გარემოში;
8. რეკომენდირებულია, შევიდეს შეფასების მეთოდებისა, რუბრიკების და კრიტერიუმების აღწერა თითოეული სასწავლო კურსის / მოდულის სილაბუსში;
9. რეკომენდირებულია, სრულად დაინერგოს სტუდენტთა შეფასების თანამედროვე მეთოდები (მაგ: OSCE ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა), რომლებიც იქნება უფრო გამჭვირვალე და ინფორმაციული როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ფაკულტეტის წევრებისთვის;
10. დაკონკრეტდეს კლინიკური პრაქტიკის მიმართულებები, სტუდენტების რაოდენობა და ხანგრძლივობა პრაქტიკაზე კლინიკებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
11. გაიზარდოს გამსვლელი ქულის ზღვარი კლინიკურ განყოფილებაში საბოლოო (საგამოცდო) შეფასებისას;
12. პერსონალის შერჩევის წესი შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივ მახასიათებლებთან;
13. დაწესებულებამ დააბალანსოს სამუშაო დატვირთვა ფაკულტეტის წევრებს შორის;
14. ჩამოყალიბდეს მკაფიო და სტრუქტურირებული პოლიტიკა ფაკულტეტისა და პერსონალის განვითარებისათვის და მისი განხორციელების მოკლე და გრძელვადიანი გეგმა;
15. ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის წევრების შეფასების თანამედროვე პოლიტიკა.

რჩევები:

- დაწესებულებამ პროგრამის მიზნებში ჩართოს ისეთი ელემენტები, როგორიცაა ზუსტი/პერსონალიზირებული მედიცინა, დიდი მონაცემების გამოყენება და სანდო პროფესიული საქმიანობა, რაც განვითარებადი სამედიცინო განათლების გამოყენების საშუალებას იძლევა;
- განახორციელეთ განვითარებული მენტორობის პროგრამა;
- ხაზგასმით აღინიშნოს დაშვების კრიტერიუმებში, რომ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ინგლისურ ენაზეა და ყველა წიგნი ინგლისურადაც არის ხელმისაწვდომი;
- შინაგანი მედიცინის კურსების ინტეგრირება განხორციელდეს უფრო ჰოლისტიკური გზით;
- გაიზარდოს არჩევითი კურსების. რაოდენობა და განხორციელდეს პროგრამის პირველივე წლებიდან;
- გადაიხედოს სილაბუსები, კერძოდ, კურსების მეორადი მიზნების რელევანტურობა ძირითად მიზნებთან და სწავლების წელი;
- გაიზარდოს ინტეგრაციის დონე სწავლების პირველ წელს;
- გადაიხედოს სავალდებულო სახელმძღვანელოები;
- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში;
- დაწესებულებამ გამოიყენოს უფრო სტანდარტიზებული პაციენტების სესიები კლინიკურ წლებში (4-5 წელი) კლინიკურ საგნებში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს მიიღონ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები ანამნეზის აღებაში, კონსულტაციაში;

- შემცირდეს სტუდენტებისა და კლინიკური მასწავლებლების თანაფარდობა პრაქტიკული მუშაობის დროს კლინიკურ საგნებში;
- განახლდეს ჟურნალი და მიეცეს პორტფოლიოს ფორმა (აქცენტი გაკეთეთ პროფესიული ქცევის შეფასებაზე);
- ები პროგრამის განვითარებისთვის: - ამაღლდეს სტუდენტების მოტივაცია, მიიღონ მონაწილეობა კვლევებში;
- გაიზარდოს ფაკულტეტის წევრების მიერ კლინიკური სწავლების ფაზაში ხელმძღვანელობის შემთხვევები;
- გაუმჯობესდეს და გამჭვირვალე გახდეს აკადემიური პერსონალის არჩევისა და მოწვეული პერსონალის შერჩევის პროცედურა და პირობები;
- მოხდეს მონიტორინგის სისტემატიზირება და ანგარიშგების თანმიმდევრულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 29
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

„მედიცინის“ საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდგომ სხდომა დატოვეს აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა.

მეხუთე საკითხი: შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებები
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	21.10.2020 გადაწყვეტილება № 1019392
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0159, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. 13/ჭიაურელის 6; 0119, თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N121; 3700, რუსთავი, სანაპიროს ქ. N 69
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებები“ აკრედიტირებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 21.10.2020, №1019392 გადაწყვეტილების საფუძველზე 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარდგენის პირობით (პროგრამის აკრედიტაციის ვადა განსაზღვრულია 2027 წლის

21 ოქტომბრამდე). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები, ამ რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენისათვის ვადით 2021წლის 21 აპრილამდე.
აღნიშნული რეკომენდაციები განხილულ იქნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და კოლეგიალური ორგანოს სადოქტორო კომიტეტის მიერ, მათ მიერ განისაზღვრა რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, ჯგუფს დაევალა შეფასება, აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად ცვლილებების განხორციელება, რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და შესაბამისი ინფორმაციის გაზიარება. 2021 წლის 12 აპრილს (№01-460) დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა საგანმანათლელო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების №1019392 და უკანასკნელში ცვლილების შესახებ 2020 წლის 25 ნოემბრის 1123237 გადაწყვეტილების შესაბამისად სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. დაზუსტდეს დიპლომირებული სტომატოლოგის და ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა;
2. დაზუსტდეს ჩანაწერი პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესახებ სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში, რაც ასახავს პროგრამის ფარგლებში არსებულ რეალურ გარემოებებს და თავსებადია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის.

წინაპირობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამაზე „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებები“ დაშვების პირობები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად, უნივერსიტეტმა განიხილა პროგრამაზე დიპლომირებული სტომატოლოგისა და ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა დაშვების შესძლებლობა და პროგრამაში შეიტანა ცვლილება, კერძოდ, ამოღებულ იქნა ჩანაწერი „ბიოლოგიის მაგისტრი“ და შედეგად, პროგრამის მიღების წინაპირობა, დაკონკრეტდა შემდეგნაირად: პროგრამაზე დაიშვება ღია კონკურსის საფუძველზე შერჩეული დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობით ნაწილში აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, განხორციელდა ცვლილებები და ჩანაწერი პროგრამის ხანგრძლივობისა და სტუქტურის შესახებ განისაზღვრა შემდეგნაირად: „სადოქტორო პროგრამა 3 წლიანია, მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 30 კრედიტს, პროგრამა სრულდება სამეცნიერო - კვლევითი ნაშრომის (დისერტაციის) დაცვით“. ინფორმაცია ცვლილებების შესახებ გაზიარებულ იქნა პროგრამის დაინტერესებული მხარეებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:24
დასრულების დრო: 20:18

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24.09.2012 გადაწყვეტილება №430
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავასქ. № 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი №3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი
თვითაცილება განაცხადეს - ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტამდე მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ შეხვედრა, მოსაზრებების გაზიარება და ფუნქცია-მოვალეობების განაწილება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა - 2021 წლის 15 და 16 აპრილს. აკრედიტაციის პროცესის ძირითადი ნაწილი მიმდინარეობდა დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით. დაწესებულებაში ვიზიტისას ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა, როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფით, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის თუ დამაზუსტებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმით. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუირების პროცესის განმავლობაში შეხვედრები მოიცავდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებას. შეხვედრა აგრეთვე განხირციელდა ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან; შედგა ინტერვიუ დამსაქმებლებთან. დაწესებულებაში, ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დეტალური დათვალიერება; ვიზიტის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გაუზიარა პროგრამის შესახებ ვიზიტის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ძირითადიმ მიგნებები.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტიდან ფრაზა "...ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს ჩათვლით";
2. სასწავლო კურსს "გეოლოგიის ეკონომიკა" განესაზღვროს წინაპირობა ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
3. კურსი "შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში" (GIS), რომელიც ისწავლება თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში გახდეს სავალდებულო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ I და II სტანდარტების ფარგლებში წარმოდგენილ რეკომენდაციებს უნივერსიტეტი სრულად იზიარებს მე-2 და მე-3 რეკომენდაციებს, ხოლო პირველ რეკომენდაციას - ნაწილობრივ. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოღებული იქნება ტერმინი „ატმოსფერო", ხოლო, რაც შეეხება „ჰიდროსფეროს" საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს ჰიდროსფეროს თითქმის ყველა საკითხს („ჰიდროგეოლოგია"; „ჰიდროგეოლოგიური კვლევის მეთოდები"; „საქართველოს სასმელი, მინერალური, თერმული და სამრეწველო წყლები"; „მიწისქვეშა წყლების დინამიკა", „ჰიდროგეოლოგიის კონცენტრაციის საბაკალავრო ნაშრომი"), მათ შორის წყლის წარმოშობის და გამოყენების საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხულია მხოლოდ 5 რესპოდენტი. შესაბამისად, დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია მოცემული რაოდენობა და იძლევა თუ არა წარმოდგენას შრომის ბაზრის კვლევაზე.
რაც შეეხება გეოლოგიის ეკონომიკას, მოცემული სასწავლო კურსი მოითხოვს წინაპირობად ეკონომიკის საგნის განსაზღვრას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში გაწერილია ორი კონცენტრაცია, მყარი სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგია და ჰიდროგეოლოგია. კონცეტრაციებს შორის საგნობრივი თვალთახედვით არის რიგი განსხვავებები. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუკი სტუდენტი აირჩევს ერთ კონცენტრაციას, სწავლის შედეგების მიხედვით ექნება თუ არა განსხვავებული კომპეტენციები მეორე კონცენტრაციასთან შედარებით.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, აღნიშნა, რომ 4.1 კომპონენტთან მიმართებით გაცემული არის რჩევა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის დატვირთვის სქემი მეთოდოლოგია, გადა ამისა ყურადღება გამახვილებულია სტუდენტებისა და ხელმძღვანელების ზღვრულ ოდენობაზე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად განეკუთვნება მოცემული შენიშვნები რჩევას, იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის სტანდარტი პირდაპირ ითხოვს რომ არსებობდეს განსაზღვრული მეთოდოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ სისტემა დიდი ხანია რაც დანერგილია ტექნიკურ უნივერსიტეტში. ერთადერთი რაც დაწესებულებას აკლია არის ამ ყველაფრის

დოკუმენტირება, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ საკითხი უნდა განსაზღვრულიყო რჩევის სახით, ვინაიდან ეს სისტემა დაწესებულებაში მუშაობს.
რაც შეეხება კონცენტრაციებს, აღსანიშნავია, რომ ჰიდროგეოლოგია წარმოადგენს გეოლოგიის ნაწილს, შესაბამისად, კომპეტენციები საკმაოდ სრულად არის განსაზღვრული. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულიად ადეკვატურია. პროგრამა ამზადებს გეოლოგებს, რომელთაც ექნებათ ორი განსხვავებული კონცეტრაცია, ანუ ის საფუძველი რომელიც პროგრამაში დევს, საკმარისია და მოიცავს გეოლოგის კვალიფიკაციისთვის საჭირო მინიმუმს, ხოლო შემდგომ ხდება გარკვეული საგნებით კონცენტრაციების მიხედვით დამატებითი ცოდნის მიცემა სტუდენტებისათვის, რომლებიც აირჩევენ ამა თუ იმ კონცენტრაციას. საბაზისო ცოდნა, ორივე კონცენტრაცის სტუდენტებისთვის ერთია და საკმარისია გეოლოგიის კვალიფიკაციაზე გასასვლელად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა რაოდენობა ცოტაა, დამსაქმებლები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სტრუქტურებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:35
დასრულების დრო: 21:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 ქვეკომპონენტს დაემატა 2 რეკომენდაცია, შესაბამისად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, ნაცვლად ,,შესაბამისია მოთხოვნებთან“, შედეგად მთლიანად პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, 2.3 კომპონენტში დამატებით განისაზღვრა რეკომენდაცია, თუმცა არ შეცვლილა მე-2 სტანდარტის შეფასება. ფორმულირება შეეცვალა მე-4 სტანდარტში გაცემულ რჩევებს, 5.3 ქვეკომპონენტში დაემატა ერთი რჩევა, შედეგად მე-4 და მე-5 სტანდარტების შეფასებები არ შეცვლილა.
საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. ამოღებულ იქნას პროგრამის მიზნების ბოლო პუნქტიდან ფრაზა “...ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს ჩათვლით”;
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;
4. კურსი “შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში”, რომელიც ისწავლება თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში გახდეს სავალდებულო;
5. სასწავლო კურსს “გეოლოგიის ეკონომიკა“ განესაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს როგორც ეკონომიკის საბაზისო, ასევე გეოლოგიის საკითხებს.

რჩევები:

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროგრამაში გათვალისწინებული იქნება ისეთი მექანიზმი, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სასურველია, შემუშავდეს და დაინერგოს დისტანციური ზონდირების შესავალი კურსი, რაც წარმოადგენს თანამედროვე კვლევების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, განსხვავებული საფასურის დადგენის შემთხვევაში, სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური ან სად შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და აღნიშნულ სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნულ დონეზე უცხოური ენის ფლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის (ენის ცოდნის დონის დამადასტურებელისერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ამ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხო ენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოური ენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს, აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამ შემთხვევაში კი, სასურველია, სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, აღნიშნული დარჩენილი კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე;
- გადაიხედოს სილაბუსები ტექნიკური ხარვეზების გასწორების მიზნით;
- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, აკადემიური პოზიციების შესაბამისად;
- სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე;
- სასურველია დაწესებულებამ შეიმუშავოს საველე პრაქტიკული და სასწავლო-კვლევითი აქტივობებითის საჭირო მატერიალუ-ტექნიკური რესურსების შეძენის სამოქმედო გეგმა;
- სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება - პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ინტერნაციონალიზასიის პოლიტიკის დახვეწისა და თანამედროვე ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
- სასურველია გაუმჯობესდეს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასების პრაქტიკა იმგავარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას კურსის განმახორციელებელი პირების შეფასების ობიექტურობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 გადაწყვეტილება №521
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0532 - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	

		მ. კოსტავასქ. № 77, თბილისი, სასწავლო კორპუსი №3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს- ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 15 და 16 აპრილს. აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციების (პროგრამა“Zoom Video Communications”) მეშვეობით. დაწესებულებაში - ადგილზე განხორციელდა მატერიალურ- ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტი გაიმართა კონსტრუქციულ გარემოში, დაწესებულების ადმინისტრაცია მზად იყო თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატა როგორც ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების განმარტებისა და სხვადასხვა პანელზე მონაწილე პირების დასწრების უზრუნველყოფით, ასევე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის თუ დამაზუსტებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმით. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. პროგრამის კურიკულუმში, პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში და სხვა შესაბამის დოკუმენტებში მოყვანილი ფრაზა - „საბადოების გეოლოგია“ გულისხმობს ყველა სახის საბადოების გეოლოგიას, მათ შორის ნავთობისა და გაზის, რისი სწავლაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ამიტომ, რეკომენდირებულია აღნიშნულ ფრაზა ყველგან სადაც კონტექსტი მოითხოვს ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მყარი წიაღისეულის საბადოების გეოლოგია“ და „მყარი სასარგებლო წიაღისეული“, როგორც ეს მოცემულია ბაკალავრიატის პროგრამაში;
2. პროგრამის ბოლოს წინა შედეგში წერია: „...სტანდარტების და ნორმების შემუშავება“. აღნიშნული ფრაზა ამოღებულ უნდა იქნას ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებს ამ მიმართულებით ცოდნისა და უნარების განვითარებას;
3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობებში გაიწეროს გეოლოგიის სადოქტორო პროგრააზე მიღების პირობები და წესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება რეკომენდაციას, სასარგებლო რჩევის სტატუსით. თუმცა ფრაზის „საბადოების გეოლოგია“ გამოყენებისას ფაკულტეტმა იხელმძღვანელა სწავლების სფეროების კლასიფიკატორით, სადაც ნავთობისა და გაზის საკითხები განხილულია დეტალურ სფეროში 0724 „სამთო საქმე და მოპოვება“ - „შეისწავლის მინერალების/ სასარგებლო წიაღისეულის, გაზისა და ნავთობის მარაგების შეფასებასა და დედამიწის წიაღიდან მათი მოპოვების დაგეგმვას, განხორციელებასა და ხელმძღვანელობას“, რაც თავისთავად გვზღუდავს დეტალურად შევეხოთ ნავთობისა და გაზის გეოლოგიის საკითხებს.
დაწესებულება ასევე სრულიად ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-2 რეკომენდაციას.
რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, მოთხოვნები და პროცედურები პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და კანდიდატებისათვის ვინც დაასრულა სამაგისტრო პროგრამა საქართველოს ფარგლებს გარეთ განმარტებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების მე-7 მუხლის 7.13 პუნქტში - „საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურაში სწავლის მსურველი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ;“ რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებს, ის მოცემულია დოქტორანტურის დებულების მე-7 მუხლის 7.18 პუნქტში - „დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაში მითითებული წინაპირობის შესრულება. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში/ენებში ან უცხოური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობა. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი

აქვთ შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ“. შესაბამისად, ამ და ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე იგი დეტალურად მოცემულია კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ სადისერტაციო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დისერტაციებშიდომინირებს საკმაოდ ძველი წყაროები. შესაბამისად დააზუსტა, თუ რამდენად შეიძლება ძველ ლიტერატურაზე დაფუძნებით გარკვეული სიახლის შექმნა.
საბჭოს წევრმა აღნიშნა ასევე პუბლიკაციების საკითხიც, კერძოდ დისერტაციების ბოლოში მითითებულია დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული სტატიები, რაც ნიშნავს იმას რომ მოთხოვნა არსებობს, თუმცა რამდენად ქვეყნდება აღნიშნული ნაშრომები რეფერირებად ჟურნალებში.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევაში გამოკითხულია მხოლოდ 5 რესპოდენტი. შესაბამისად, დააზუსტა თუ რამდენად რელევანტურია მოცემული კვლევა განსაკუთრებით სადოქტორო საფეხურისთვის, სადაც განსხვავებული სპეციფიკაა.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა ბიუჯეტის საკითხი, კერძოდ ბიუჯეტით განსაზღვრულია 9735 ლარი, შესაბამისად საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია მოცემული რესურსი სადოქტორო პროგრამის განვითარებისათვის.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით პროგრამის დადარება უცხოურ ანალოგებთან არ მომხდარა, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები საკმაოდ კარგად და საინტერესოდ არის გაწერილი, თუმცა პროგრამაში არის მოცემული ორი სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსი, კერძოდ ,,სამეცნიერო ტექნიკა“ და ,,სწავლების მეთოდები“, რაც შეუსაბამოა სწავლის რუბრიკასთან, რადგან ის სწავლის შედეგები, რომლებიც მონიშნულია რუბრიკაში, საერთოდ არ შეესაბამება მოცემულ სასწავლო კურსებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, წყაროებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უმრავლესობა საბადოების კვლევები, რომლებიც ჩატარდა 50 წლის წინ, მეტი არ ჩატარებულა, შესაბამისად სტუდენტი მოცემულ შემთხვევაში იძულებულია გამოიყენოს აღნიშნული კვლევები წყაროების სახით. აღნიშნულ სფეროში მოცემული სავსებით მისაღებია, შესაბამისად არ მომხდარა საკითხზე ყურადღების გამახვილება.
რაც შეეხება დადარების საკითხს, აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა არ არის მკაცრად სავალდებულო.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა თუ რა სტილის არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტისას ჯგუფის მიერ განსაზღვრული იქნა რჩევა რას მოიაზრებდა, რომ დაწესებულებას შეემუშავებინა მინიმალური ზღვარი იმ პუბლიკაციებისა და ჟურნალებისთვის, რომელიც დააწესებს benchmark პუბლიკაციების ჩასათვლელად. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დოქტორანტების ნაშრომები მუდმივად წარმოადგენს გარკვეულ სიახლეს და ასევე მათ აქვთ შესაძლებლობა თავიანთ ნაშრომებში გამოიყენონ თანამედროვე პუბლიკაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოკითხული რესპოდენტებს შორის არიან პროგრამის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებიც მუშაობენ გეოლოგიის ინსტიტუტში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და არა ერთ სხვა მნიშვნელოვან კომპანიებში.
რაც შეეხება დაფინანსებასა და ბიუჯეტის საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ ის ორგანიზაციები რომლებთანაც უნივერსიტეტის თანამშრომლობს, უზრუნველყოფენ კვლევების დაფინანსებას და ამასთან კვლევების განხორციელებაში ისინი პერსონალს უხდიან ხელფასს. შესაბამისად, ამ კუთხით პროგრამას პრობლემა რა აქვს.
რაც შეეხება სწავლის შედეგების საკითხს, დაწესებულებას პროგრამებში მსგავსად აქვს საკითხი გათვალისწინებული, თუმც აუცილებლად მოხდება მისის შეცვლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
პუბლიკაციებთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს მოთხოვნა რომ აუცილებელია მათი რაოდენობა იყოს სამი, დოქტორანტის მიერ ნაშრომის დაცვამდე, რომელთაგან ერთი აუცილებლად უნდა იყოს დამოუკიდებლად შესრულებული და გამოცემული რეფერირებად ჟურნალში.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 4.1 კომპონენტში განსაზღვრულია რჩევები, რომლებიც ეხება პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგიას, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ. ამავე ქვესტანდარტში ასევე მოცემულია რჩევა რომელიც ეხება ხელმძღვანელების საკითხს. საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტის ყოლის უფლება აქვს ერთ ხელმძღვანელს.
ექსპერტმა ისაუბრა დადარების საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ინსტიტუციას არ წარმოუდგენია ისეთი დოკუმენტი რომელიც გულისხმობს დადარებას სტანდარტის მიხედვით. ზოგადი მიმოხილვის დონეზე ინსტიტუცია რა თქმა უნდა ადარებს პროგრამებს, თუმცა კვლევის სახით არსებული დადარების დოკუმენტი ექსპერტებისთვის არ იყო წარმოდგენილი.
რაც შეეხება 4.1 სტანდარტს, ინსტიტუციას აქვს საუნივერსიტეტო მიდგომა, რომლის მიხედვითაც 400 საათის დატვირთვის პირობებში წლიური მაჩვენებელი არის განსაზღვრული ყველა ტიპის აკადემიური პერსონალისთვის. 4.2 კომპონენტთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ არ არის განსზღვრული ზღვრული რაოდენობა თუ რამდენი ნაშრომის ხელმძღვანელობის უფლება აქვს პირს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:20
დასრულების დრო: 22:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 ქვეკომპონენტს დაემატა რეკომენდაცია, ასევე განისაზღვრა რეკომენდაცია 2.4 ქვეკომპონენტში, შესაბამისად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისია მოთხოვნებთან“, შედეგად მთლიანად მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. 3.2 ქვეკომპონენტში განისაზღვრა რეკომენდაცია, შესაბამისად ეს ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ ნაცვლად ,,შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა არ შეცვლილა მთლიანად მესამე სტანდარტის შეფასება, მე-4 და მე-5 სტანდარტებში ფორმულირება შეეცვალა რიგ რჩევებს.
საბოლოოდ კი დაწესებულებისათვის გაცემული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის კურიკულუმში, პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში და სხვა შესაბამის დოკუმენტებში მოყვანილი ფრაზა - „საბადოების გეოლოგია“ გულისხმობს ყველა სახის საბადოების გეოლოგიას, მათ შორის ნავთობისა და გაზის, რისი სწავლაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, ამიტომ, რეკომენდირებულია აღნიშნულ ფრაზა ყველგან სადაც კონტექსტი მოითხოვს ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მყარი წიაღისეულის საბადოების გეოლოგია“ და „მყარი სასარგებლო წიაღისეული“, როგორც ეს მოცემულია ბაკალავრიატის პროგრამაში;
2. სწავლის შედეგების ბოლოს წინა შედეგში წერია: „...სტანდარტების და ნორმების შემუშავება“. აღნიშნული ფრაზა ამოღებულ უნდა იქნას ვინაიდან პროგრამა არ ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით ცოდნისა და უნარების განვითარებას;
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობებში გაიწეროს გეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები და წესი;
5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
6. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება.

რჩევები:

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროგრამისკენ მიმართული ინტერნაციონალიზაციის საკითხს და მისი განვითარების კონკრეტულ გეგმებს. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ექნება მკაფიო ხედვა და სტრატეგია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის განვითარების კუთხით და უფრო ეფექტურად მოახდენს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმი იქნება პროგრამაში გათვალისწინებული, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში;
- სტუდენტებისათვის განსხვავებული საფასურის დადგენის შემთხვევაში, სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური ან სად შეიძლება აღნიშნული ინფორმაციის მოძიება;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს დაემატოს - „არქეოლოგია;
- განხორციელდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმება და დებულებების შესაბამისობაში მოყვანა უმაღლესი განათლების ციკლისა და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. უზრუნველყოფილი იყოს განახლებული დებულებებისა და ინფორმაციის განთავსება საჯაროდ და ხელმისაწვდომად;
- სასწავლო კურსებში “ სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და „ სწავლების მეთოდები“ დაზუსტდეს სწავლების შედეგები შინაარსის შესაბამისად;

- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა - საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ, შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, განხორციელდეს წარმატებით;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს და წაახალისებს სტუდენტებს ამ სტრატეგიის განვითარებით, დოქტორანტებს - ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გააქტიურება;
- სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს, სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად - წესი - რომლის მიხედვით განისაზღვრება: პროფესორს ერთდროულად, არა უმეტეს რამდენი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება;
- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის დატვირთვის მეთოდოლოგია, აკადემიური პოზიციების შესაბამისად;
- სასურველია ასევე დაზუსტდეს სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელზე სტუდენტების რაოდენობის ზღვრული ოდენობა;
- უნივერსიტეტმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე;
- სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, გეოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის, პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ინტერნაციონალიზასიის პოლიტიკის დახვეწისა და თანამედროვე ბაზრის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,გეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურუ ლად გამოცხადდა 22:35სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ